


K3250
K2

ცენტრარქივი



ბს



1917 წლის
რევოლუცია

-32

ბზილისი
1930

✓
~~323.2~~
P-322

ცენტრალიზი

უკრაინული
საბჭოთაო
✓ 21800
3211-7 +
J 373

1917 წლის რევოლუცია

ისტორიულ საბუთებში

Handwritten: ~~484~~ ~~1~~ ~~2~~ ~~3~~
Handwritten: ~~3250~~ ~~2~~
Red checkmark ✓

РЕВОЛЮЦИЯ 1917 г.

в исторических документах



უკრაინული საბჭოთაო საპარტიო-პროპაგანდა ცენტრალიზი

Handwritten: 1972

+ 9(c)211



33-4

ქართული ენის ინსტიტუტი

პასუხისმგებელი რედაქტორი ი. იოსვიძე

სარედაქციო კოლეგია

- შ. ჩხეიძე
- ი. ვაღვიანიშვილი
- პროფ. ზ. ნათაძე
- დ. სულიაშვილი
- პროფ. მ. პოლიფქაძე

შინაარსი

	გვერდ.
1. წინასიტყვაობა.	V
2. 1917 წლის რევოლიუცია. (შესავალი)	VII
3. თებერვლის რევოლიუცია. საბუთები №№ 1—113	1—112
4. კორნილოვის გამოსვლა. საბუთები №№ 114—145	113—149
5. ოქტომბრის რევოლიუცია. საბუთები №№ 146—216	150—231
6. საძიებლები.	233—243
7. მთავარ შეცდომების გასწორება.	

Содержание

	Стран.
1. Предисловие.	V
2. Революция 1917 года. (Введение)	VII
3. Февральская революция. Документы №№ 1—113	1—112
4. Корниловское выступление. Документы №№ 114—145	113—149
5. Октябрьская революция. Документы №№ 146—216	150—231
6. Указатели.	233—243
7. Исправление главных опечаток.	

წინასიტყვაობა

1917 წლის რევოლუციის ისტორიის შესწავლა კარგა ხანია დაიწყო. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული.—მთელი რიგი კრებულები-სა და მონოგრაფიულ შრომებისა, რუსეთის დიდი რევოლუციისა დამი მიძღვნი-ლი, უკვე გამოქვეყნებულია. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ რუსეთის ცენტრარქივს, რომელმაც მრავალი ფრიად საყურადღებო ისტორიუ-ლი საბუთები 1917 წლის რევოლუციისა, გამოქვეყნების საშუალებით, უკვე სამეცნიერო ხმარებაში შეიტანა.

მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ახლაც გრძელდება და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. განსაკუთრებით პირველ რიგში სდგას საკითხი საისტორიო მასალების გამოცემის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ ასეთ მასალების გამოქვეყნების შემდეგ შეიძლება დაიწყოს 1917 წლის რევოლუციის ისტო-რიის სრული და მთლიანი შესწავლა, რაიც მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ დღესაც გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და რომ მთელი რიგი დაწესებულებათა და მკვლევართა განაგრძო-ბენ მუშაობას ამ მიმართულებით.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს საქართველოს ცენტრარქივის წვლილს ამ საერთო საქმეში. კრებულის მიზანია—გააცნოს საბჭოთა საზოგა-დოებრივობას თვალსაჩინო საბუთები, რომელნიც ახასიათებენ რუსეთის დიდი რევოლუციის ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტებს. კრებული შეიცავს ისეთ საბუთებს, რომლებიც აშუქებენ დიდი რევოლუციის მსვლელობას, როგორც მთელი რუსეთის, ისე ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ფარგლებში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს კრე-ბულს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ 1917 წელი ამიერ-კავკასიაში ნაკლებად არის შესწავლილი.

კრებულის დაბეჭდვა დაიწყო გასულ წელს და, სამწუხაროდ, ცენტრარქი-ვისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მისი დაბეჭდვა დღემდის ვერ მოხერ-ხდა. 1929 წელს ცენტრარქივში მიღებულ სამეცნიერო-საგამომცემლო გეგმის თანახმად, ეს კრებული უნდა გამოსულიყო ცენტრარქივის მუდმივი პერიოდუ-ლი ორგანო „წითელ არქივი“-ს პირველ ტომად, მაგრამ შემდეგში გეგმის შეცვლის გამო წინამდებარე კრებულიც გადაწყდა გამოსულიყო ცალკე გამო-ცემად. (საერთოდ კი ახალი გეგმის თანახმად ცენტრარქივი „წითელი არქი-ვი“-ს ნაცვლად გამოსცემს საარქივო მასალების ცალკე კრებულებს სერიებად თემატიური მიდგომით და თემების აქტუალობის გათვალისწინებით).

კრებულში მოთავსებული მასალები ამოღებულია უმთავრესად სამხედრო-საისტორიო არქივის ფონდებიდან, ხოლო ნაწილობრივ—მთავარ-საისტორიო არქივის ფონდიდან. გამოცემას საფუძვლად უდევს შემდეგი მთავარი წესები.



მთელი მასალა დაყოფილია 3 ნაწილად: 1) თებერვლის რევოლუციის საბუთები, 2) საბუთები კორნილოვის გამოსვლისა და 3) ოქტომბრის რევოლუციის მასალები. თვითეულ დასახელებულ ნაწილის ფარგლებში და მთელს კრებულშიც მთლიანად მასალები დალაგებულია ქრონოლოგიურ რიგზე (თარიღი აღნიშნულია ძველი სტილით); საბუთები იბეჭდება იმავე ენაზე, რომელზედაც დაწერილია თვით დედანი, ე. ი. რუსულზე; საბუთების სათაური, ლეგენდა და შენიშვნა შედგენილია რედაქციის მიერ ორ ენაზე—ქართულსა და რუსულზე; საბუთების ტექსტი და ცალკე ციტატები საბუთებიდან იბეჭდება ციცეროთი (სათანადო შემთხვევაში კორპუსითა და პეტიტით); სათაურები დაბეჭდილია შავი შრიფტით, შენიშვნები—(რუსული) კურსივით და (ქართული) პეტიტით; უმნიშვნელო შეცდომები დედანში გასწორებულია აღუნიშნავად, ხოლო უფრო მსხვილი შეცდომები—ან გასწორებულია შენიშვნაში აღუნიშნით, ანდა არ არის გასწორებული, მაგრამ შენიშვნაში გაკეთებულია ამის შესახებ სათანადო მითითება. დასასვენებელი ნიშნები ეკუთვნის რედაქციას. გაურკვეველი და გაწყვეტილი ადგილები ტექსტში აღნიშნულია მრავალწერტილით, სათანადო შენიშვნების გაკეთებით.

გამოცემაში მიღებულია შემდეგი შემოკლებები: ს. ს. ა. (В. И. А.)—სამხედრო-საისტორიო არქივი (Военно-Исторический Архив); მ. ს. ა. (Г. И. А.)—მთავარი-საისტორიო არქივი (Главный Исторический Архив); ფ. (Ф.)—ფონდი (фонд); სხვა შემოკლებები (როგორც, მაგალითად, ფურ.—ფურცელი, გენ.—გენერალ-ლეიტენანტი და სხვა) იმდენად ჩვეულებრივია, რომ არ მოითხოვენ განმარტებას.

მასალები დასაბეჭდად დამზადებულია და კრებული შედგენილია უმთავრესად შ. ჩხეტიასა და მ. პოლიევქტოვის მიერ, სარედაქციო კოლეგიის საერთო ხელმძღვანელობით.

რედაქცია.



1917 წლის რევოლუცია

(ზოგადი მიმოხილვა)



I

რუსეთის მშრომელმა მასამ პირველად 1905 წელს მიიტანა მძლავრი იერი-
ში თვითმპყრობელობაზე და მაგარი მუჯღუგუნით საკმაოდ შეარყია კიდევ ამ
თვითმპყრობელობის საფუძვლები. მაგრამ გამანათავისუფლებელმა მოძრაობამ
1905 წლის ბარიკადებზე, როგორც ვიცით, მაინც ვერ ჰპოვა მოსალოდნელი გა-
მარჯვება: თვითმპყრობელობამ ისარგებლა მუშათა კლასის სუსტი ორგანიზაციით,
მოახერხა ძალების შეპოკრეფა და დაუნდობლად სისხლში ჩაახრჩო ეს მოძრა-
ობა.

მუშათა კლასს ძვირად დაუჯდა თავისი იერიში ტახტის წინააღმდეგ. თვით-
მპყრობელობამ, როგორც ლენინი ამბობდა, შური იძია 1905 წლის რევოლუ-
ციაზე. საუკეთესო ნაწილი მებრძოლთა რიგებიდან მსხვერპლი შეიქნა ნიკოლოზ
მეორის თავაშვებულ რეაქციისა: ბარიკადებზე დახოცილ რევოლუციონერთა
რიცხვი გაამრავლა მეფის სასამართლოს მსჯავრის თანახმად ჩამოხრჩობილ და
დახვრეტილ რევოლუციონერთა რიცხვმა. ხოლო ამათ მიემატა იმათი რიცხ-
ვიც, ვინც იმავე მსჯავრის თანახმად კატორღასა და ციმბირში იქნა გადაგ-
ზენილი.

თვით ხალხი—მუშათა კლასი და გლეხობა—ობიექტი შეიქნა მეფის ჯა-
ლათებმას თვითნებობისა: დამსჯელი რაზმები და ეკზეკუციები, პოლიციელთა
და ჟანდარმთა თარეში, უდანაშაულო პირთა ელეტა და აწიოკება, ქალების გა-
უპატიურება და სხვა—აი სურათი რეაქციისა.

თორმეტი წელიწადი მძვინვარებდა ეს რეაქცია.

ამ თორმეტი წლის სიგრძეზე რეაქციის მწვავე სუსხმა ის დადებითი შედე-
გი მოიტანა, რომ მან ობიექტურად ხელი შეუწყო თვითმპყრობელობის მოწინა-
აღმდეგე ბანაჟის ზრდას და მუშათა კლასის გაერთიანებას. რაც უფრო მაგარი
და მწვავე იყო რეაქციის სუსხი, მით უფრო დიდდებოდა ის უფსკრული, რომე-
ლიც აშორებდა მუშათა კლასს მყვლეფელთა კლასისაგან—ბურჟუაზია-მემამუ-
ლეთა კლასისა და ამ კლასის ინტერესების გამოზხატველ ხელისუფლებისაგან.
რეაქცია ძალაუნებურად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა იმისათვის, რომ მუშათა
კლასს გარკვევით დაენახა, თუ ვინ იყო მისი კლასიური მტერი და რაში მდგო-
მარეობდა მისი ეკონომიურ-უფლებრივი ჩაგვრის ნამდვილი მიზეზი. რეაქციის
სუსხი თავისი სურვილის წინააღმდეგ ხელს უწყობდა მუშათა კლასის სრულს
თვითგამორკვევას და ერთ მთლიან ძალად დარაზმვას. მუშათა კლასი 1905 წ.
მარცხის შემდეგ თანდათანობით უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ გამარჯვი?



მოპოვებისა და შრომის სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა არსებული წეს-წყობილების მთელი სისტემის შეცვლა და არა ამ სისტემაში კორექტივების შეტანა — რეფორმების მოხდენა.

ცხოვრების დიალექტიკა ისტორიული აუცილებლობით ჰქმნიდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ წესწყობილების ანტიტეზას — მის უარისმყოფელ ძალას: მშრომელთა ბანაკი იზრდებოდა რიცხვობრივად, ხოლო პარალელურად იზრდებოდა მისი თვითშეგნებაც. რუსეთის სინამდვილეში საზოგადოების კლასიური დიფერენციაცია და ორ მოპირდაპირე ბანაკად დაყოფვა თანდათანობით უფრო გარკვეულ ფორმას ღებულობდა.

ამ დიფერენციაციის ჩამოყალიბებასა და მუშათა კლასის გათვითცნობიერებას, გარდა რეაქციის სუსხისა და ქვეყნის ეკონომიურ განვითარების შინაგან კანონებთან დაკავშირებულ მიზეზებისა, ხელს უწყობდა აგრეთვე სოციალისტურ იდეებისა და კერძოდ მარქსისტულ მოძღვრების ფართოდ გავრცელება მუშათა მასაში. თუ წინა დარქსიზმი მუშათა მხოლოდ მოწინავე წრისთვის იყო ცნობილი, 1905 წლის შემდეგ მარქსის მოძღვრება თანდათანობით სულ უფრო და უფრო ვრდებოდა მუშათა მასის სიღრმეს. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, განსაკუთრებით კი მისი მემარცხენე ფრთა, მთელი ამ პერიოდის სიგრძეზე მიუხედავად რეაქციის სისასტიკისა, მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებითა, პროპაგანდა-აგიტაციითა და პოლიტიკური ორგანიზაციების მოწყობით მდგრად ემსახურებოდა მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეს. მუშათა კლასიც, გონება-გახსნილი მარქსისტულ მოძღვრებით, უფრო მეტის შეგნებით და უფრო ნაკლებს ყოყმანით ირაზმებოდა ერთ ბანაკში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თანდათანობით ახლოვდებოდა უამი თვითმპყრობელობის აღსასრულის დასაწყისისა.

1914 წელს ანთებულმა მსოფლიო ომის კოცონმა უფრო მოახლოვა ეს უამი. იმპერიალისტური ომის საშინელებამ ეკონომიური წინანაშენი შექმნა იმისათვის, რომ მუშათა კლასის უკმაყოფილებასა და მასთან დაკავშირებულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას რევოლუციონურ აფეთქების ხასიათი მიეღო. ომის საჭიროებამ სამი წლის განმავლობაში შთანთქა ქვეყნის საუკეთესო ცოცხალ ძალებთან ერთად მთელი მისი ქონებრივი დოვლათი და ეკონომიური რესურსები. უკვე 1916 წლის დასასრულისა, ხოლო კიდევ უფრო 1917 წლის დასაწყისისათვის, ამ ომის წყალობით, იმდენად შერყეული იყო მთელს რუსეთში ეკონომიური მდგომარეობა, რომ თვითმპყრობელობა გამოუღალ ჩინში მოემწყვდა და მან აღარ იცოდა, თუ როგორ უნდა წარემართა სახელმწიფო მმართველობის საქმე. მთელს იმპერიაში საყოველთაოდ შექმნილ ეკონომიურ და სასურსათო კრიზის გამო, მთავრობა ვერ ახერხებდა ფრონტზე გაწვეულ ლაშქრის საჭიროების დაკმაყოფილებასაც: მრავალ მილიონიანი¹ ლაშქარი მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული და სოციალ-შემთანხმებლების მიერ თვალახვეული, «რუსის იარაღის სასახელოდ», მშვიერ-მწყურვალ იცლებოდა სისხლისაგან ცივსანგრებში.

¹ სულ ომის დროს გაწვეული იყო 15 მილიონზე მეტი ჯარისკაცი (იხ. С. Е. Рабинович, Борьба за армию. გვ. 5)

სამი წლის სასაქლომ საკმაოდ შეაძულა ჯარისკაცებს ომი და დაუკარგა მათ ხალისი ამ ომის გაგრძელებისა, მაგრამ იმ საშინელმა პირობებმა, რომელშიც მათ უკანასკნელ დროს უხდებოდათ „სამშობლოსა და ტახტის“ წინაშე თავიანთი „მოვალეობის“ შესრულება, აშკარა უკმაყოფილება შექმნა ჯარისკაცებში მთავრობის წინააღმდეგ. საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა ან მათი ნაცნობ-ნათესავთა მიწერ-მოწერა, რომელთაც იჭერდამაშინდელი სამხედრო ცენზურა, რომ სავსებით ნათელი შეიქნეს მისთვის, თუ რამდენად აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ სურსათის სინაკლულის წყალობით ჯარისკაცები ფრონტზე და რამდენად დიდი იყო მათში მთავრობისადმი უკმაყოფილება. ¹ ასეთ მდგომარეობის შედეგად ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლიუციამდე ჯარში თავი იჩინა გახრწნის ნიშნებმა. ოხრანკის მასალები, უმაღლეს სარდლობის შემდეგდროინდელი ჩვენება და სხვა ცნობები აშკარად ადასტურებენ იმას, რომ ლაშქარში გახრწნისა და ნაწილების დაშლის ტენდენცია, სწორედ სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, თებერვლის რევოლიუციამდეც ფაქტი იყო. ²

მაგრამ ეკონომიური და სასურსათო კრიზისი უფრო საგრძნობი იყო მოსახლეობის ფართე მასისათვის. თანდათანობით, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ბაზარზე ფასები პირველ მოთხოვნილების საქონელზე და ამავე დროს ქრებოდა ბაზრიდან ასეთი საქონელი. უკვე 1916 წელს ამიერ-კავკასიის ქალაქებში პირველ მოთხოვნილების საქონელზე ფასები 1914 წლის ფასებთან შედარებით გადიდებული იყო 100 დან 400⁰/₀-მდე. ³ მდგომარეობა ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, უკეთესი არ იყო იმპერიის სხვა ადგილებში: ყველგან სურსათის ნაკლებობა, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, ომის წინააღმდეგ ფასებთან შედარებით, მეტად საგრძნობი იყო.

ფასების ზრდა და საქონლის სიძვირე პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მძიმე ტვირთად აწევბოდა მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს—მუშებსა და მოსამსახურეებს. ტფილისის პოლიციისტერი ზდანოვსკი 1916 წელს თავის მოხსენებაში ტფილისის გუბერნატორს სწერდა: ბაზრის მდგომარეობისა და მოსახლეობის განწყობილების შესწავლამ დამარწმუნა იმაში, რომ მოსახლეობის დაბალ და საშუალო ფენების მდგომარეობა ცხოვრების სიძვირის ნიადაგზე მართლაც მძიმე და „გამოუვალაოა“. ⁴ იგივე ზდანოვსკი მეორე თავის მოხსენებაში უკვე 1917 წლის დასაწყისში აგრეთვე ტფილისის გუბერნატორს აცნობებდა: მცხოვრებთა უღარიბეს ფენებში, სურსათის უქონლობისა და სიძვირის გამო, უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწიაო. მოსალოდნელ გამოსვლების თავიდან ასაცილებლად ზდანოვსკი გუბერნატორს „სათანადო განკარგულების“ ⁵ მოხდენას ემუდარებოდა.

ასეთივე მდგომარეობა იყო იმპერიის სხვა ადგილებში. სამხედრო ცენზურის მიერ დაკავებულ ერთ-ერთ წერაღში ვიღაცა უცნობი, მოსკოვში მცხოვრე-

¹ იხ. საბუთი № 1.

² იხ. Борьба за армию, გვ. 11.

³ С. С. Ф., Предвестники революции 1917 г. в Закавказии. История клас. борьбы в Зак. Тифлис, 1930 г. გვ. 197.

⁴ ibid., გვ. 196.

⁵ საბუთი № 2.



ბი, სწერდა ტფილისში თავის ნაცნობს: „იცით, თუ არა, თქვენ, რა ხდება ახლა მოსკოვში? ყველა, ვისაც კი აქვს ამის საშუალება, გარბის იქიდან. სურსათი სრულიად არ არის. კუდები ავსებენ ქუჩებს, რომ მიიღონ ნახევარი გირვანქა ნახშირი; არის დღეები, როდესაც პური სრულიად არ არის“¹. მირაპოლედან გამოგზავნილ და ცენზურის მიერვე დაკავებულ მეორე წერილში ვილაცა უცნობი აცნობებდა აგრეთვე ტფილისში, თავის ნაცნობს: ფასები საქონელზე თან-თან იზრდება და მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებაო². პეტროგრადში ამ მხრივ იმდენად გაუარესებული იყო მდგომარეობა, რომ იშვიათად, თუ იშვებოდა რომელიმე საქონელი რიგისა და ოთხმაგი ფასის გარეშე.

თავისდათავად ცხადია, რომ ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესებასა და სასურსათო კრიზისს თან სდევდა ფართე მასის და კერძოდ მუშათა კლასის უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება თანდათანობით იზრდებოდა იმპერიალისტური ომის მთელს სიგრძეზე და უკვე 1916 წლიდან ამ უკმაყოფილების შედეგად გაფიცვები, „ბუნტები“ და „პოგრომები“ მთელს იმპერიაში ჩვეულებრივ და საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა. „აქ კატასტროფიული მდგომარეობა არის, გაფიცული ვართ უკვე სამი დღეა; მუშაობას როდის შეუდგებით არ ვიცით“... ვკითხულობთ სამხედრო ცენზურის მიერ დაჭერილ ერთ წერილში, რომელიც ბაქოს ამბავს შეეხება³. „9 იანვარს პიტერში გაიფიცა 300.000 მუშა, მოსკოვშიც—30-დან 50,000-დე... ამ ჟამად გაფიცვა მოედო მთელს ქვეყანას“, აცნობებდა ვილაცა უცნობი პეტროგრადიდან ტფილისში თავის ნაცნობს, აგრეთვე სამხედრო ცენზურის მიერ დაკავებულ მეორე წერილში. „სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებსა და ქალაქის მცხოვრებთა უღარიბეს კლასებს შორის კვლავ მღელვარება... ისევ დაიწყეს ლაპარაკი დარბევის განმეორების აუცილებლობის შესახებ“, მოახსენებს ტფილისის პოლიციისტიერი ზდანოვსკი ტფილისის გუბერნატორს პოლკ. მანდრიკას 1917 წლის იანვრის 20-ს⁴ წარდგენილ მოხსენებაში.

1916 წლის თებერვლის 14, 15 და 16-ს დამშუულმა ხალხმა დაარბია ბაქოში მთელი რიგი სავაჭროებისა და საწყობებისა (სკობელევისა, გულაევის, ტაგიევის და სხვ.). ამის თაობაზე ბაქოს ქალაქის უფროსი მარტინოვი აღშფოთებული მოახსენებდა მეფის ნაცვალს: მღელვარე ბრბო იტაცებდა საქონელს აშკარად... პოლიციას ქვეებით უმასპინძლებოდაო⁵. ბაქოს გამოსვლებს გამოეხმაურენ დარუბანდი და გროზნო. 1916 წლის 22 თებერვალს მეფის ნაცვალს დალესტანიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: 18 თებერვალს ბაქოს არეულობის ანარეკლად დარუბანდშიაც ქონდა ადგილი არეულობებს... თავი მოიყარა ბრბომ, 300-დე სამრეწველოს მუშებმა, დუქნების დარბევის მიზნით, მაგრამ პოლიციის

¹ საბუთი № 1.

² ibid.

³ საბუთი № 1.

⁴ ibid.

⁵ საბუთი № 2.

⁶ С. Сеф, Предвестники революции, გვ. 203.

მოხერხებული მოქმედებით დარბევა აცილებულ იქნა“-ო. ¹ მეორე დღეს ასეთივე ამბავი მოუტანა დეპეშამ მეფის ნაცვალს ქ. გროზნიდან ².

იმავე წლის ივლისის 2-ს დაიწყო დარბევები ტფილისში. დარბევაში მონაწილეობას იღებდნენ მუშებისა და ჯარისკაცთა ცოლები, მაგრამ მათ გარდა იყვნენ სხვა ფენების წარმომადგენლებიც. დარბევა სწარმოებდა ერთთადაიმავე დროს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში—გოლოგინის პროსპექტზე, მიხეილის ქუჩაზე, კირკის ქუჩაზე და სხვაგან. ³ 2 ივლისს მეფის ნაცვალს სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ქ. სოხუში დარბევა... პოლიცია უძღურია, ჯარს პასიურად უჭირავს თავი. მდგომარეობა მძიმეა.“⁴ ამავე ხანებში არეულობა მოედო მთელს დასავლეთ საქართველოს. ივლისის 13, 14 და 15 ს დარბევებს ადგილი ჰქონდა ხონსა, სამტრედიასა და კულაშში, სენაკის მაზრასა და ხაშურში. დარბევის ცდები იყო ფოთშიაც... ⁵

ერთდა იმავე დროს ადგილი ჰქონდა ცალკე გაფიცვებს ბაქოში, სორმოვოში, კანაინში, კოლპინში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. ⁶ 10 თებერვალს პეტროგრადში ჩაშლილ გაფიცვას მოჰყვა პუტილოვის მთელი ქარხნის მუშების გაფიცვა, ⁷ არა სრული ცნობებით 1916 წელს რუსეთის მარტო სამთო წარმოებებში ადგილი ჰქონდა 126 გაფიცვას, რომელშიც საშუალოდ 100.000-ზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. ⁸ იმავე წლის განმავლობაში აგრეთვე არა სრული ცნობების მიხედვით, მრეწველობითი წამოწყებებში მომხდარ გაფიცვების რიცხვი 1410-ს უდრიდა, ხოლო ამ გაფიცვებში მონაწილეობის მიმღებ მუშათა რიცხვი—ერთ მილიონს აღემატებოდა. ⁹ 1917 წლიდან გაფიცვების რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზარდა. მარტო 1917 წლის იანვარში, ცნობებით, რომელშიაც მთელი რიგი ადგილებისა გამოტოვებულია და, მაშასადამე, სრული არ არის, გაფიცულ მუშათა რიცხვი 244.000-ს უდრიდა, რომელთაგან 162.000 გაფიცვა. ე. ი. მთელი გაფიცვების 66 0/0-ზე მეტი, მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები იყო. ¹⁰ თებერვალში კიდევ უფრო გაიზარდა გაფიცვების რიცხვი. თითქმის მთლად შეჩერდა პეტროგრადისა და მოსკოვის სამრეწველო წამოწყებები. საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის ზედამხედველობისათვის დამორჩილებულ მუშათა გაფიცვების რიცხვი ამ თვეში შეადგენდა 432.000-ს. აქედან პოლიტიკური გაფიცვები 95 0/0-ს აღემატებოდა...¹¹

ასე ამეტყველდა და ამოძრავდა მშრომელი მასა მთელს რუსეთის იმპერიაში თეთრი ზღვიდან შავს ზღვამდე, კარპატებიდან წყნარ ოკეანამდე, ქალაქებს

¹ ibid. გვ. 207.

² ibid..

³ ibid. გვ. 208-209.

⁴ ibid. გვ. 210.

⁵ ibid. გვ. 211.

⁶ Рабочее движение в 1917 г. Москва-Ленинград, 1926 г. გვ. 3.

⁷ ibid.

⁸ ibid. გ.15.

⁹ ibid. გ. 17.

¹⁰ ibid. გვ. 20.

¹¹ ibid. გვ. 22.

და სოფლებში, ფრონტსა და ზურგში. ატმოსფერო გაიჟღინთა უკმაყოფილებიან და უნდობლობის სუნით. არეულობისა და გაფიცვების ტალღა აზვირთდა.

რას აკეთებდა ამ დროს, ე. ი. ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისების მომენტში, მეფის ხელისუფლება და მისი ერთგულა წოდება—ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა?

მეფე, თავის მეუღლისა და სხვა ბნელ ელემენტების ხელში სათამაშოდ გადაქცეული, მინისტრთა „ჩეხარდას“ აწყობდა: ერთ მინისტრს მეორე ცვლიდა, მეორეს კიდევ მესამე, წითომდა იმის გამო, რომ „გვირგვინოსანი“ ღირსეული კანდიდატის ძებნაში იყო და თითქოს ასეთი ვერ მოეძებნა; სინამდვილეში კი ყველაფერი ეს ხდებოდა იმისდამიხედვით, თუ ვინ როგორ დაიმსახურებდა დედოფლის ნდობას ან გულისწყრომას. ინტრიგების მორევში ჩაფლული და გაბოროტებული დედოფალი არავის ზოგავდა, ვის შესახებაც კი გაიგებდა, რომ იგი უარყოფითად უყურებდა მის დამოკიდებულებას „წმინდა მამასთან“ და მაშინვე იმპერატიულად მოითხოვდა მეფისაგან ასეთი „თავხელი“ პირის უმაღლესი თვის პოსტიდან გაძევებასა და დასჯას.¹

სასახლის არისტოკრატიის ნაწილი და მონარქისტები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ტახტის ბედ-იღბალით, ცდილობდნენ თვალი აეხილათ მეფისათვის და ეჩვენებინათ მისთვის ის უმგზავსოება, რომელიც მის გარშემო ხდებოდა. მაგრამ ნიკოლოზ მეორეს არ ჰქონდა საამისო არც კეკუა და არც გონება. თუმცა, კიდევაც რომ ჰქონოდა, საბოლოოდ მაინც ვერ აიცდენდა იმას, რაც ისტორიულ კანონებით აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

თვით ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა, როგორც გაბატონებული კლასები, ომის დროს თავის პრივილეგიებით ფართოდ სარგებლობდნენ. არც ბურჟუაზია და არც თავად-აზნაურობა ფაქტიურად ფრონტზე არ იბრძოდა. ისინი მხოლოდ პატრიოტულ მოწოდებებს აპზადებდნენ მთავრობასთან ერთად ჯარისკაცებისა და მოსახლეობისადმი, რათა ომის გაგრძელების ხალისი არ შენელებულიყო და ფრონტზე გამარჯვებით რუსულ კაპიტალის ინტერესი უზრუნველყოფილიყო. საზოგადოების ამ ფენების წარმომადგენელნი მომეტებულად „ზურგში“ მუშაობდნენ თბილ ადგილებში და ეს „მუშაობა“ უმთავრესად კერძო ინტერესების მოგვარებას ისახავდა მიზნად. იმ დროს, როდესაც მუშებისა და გლეხებისაგან შედგენილი ჯარი, ვითომდა „სამშობლოს“ დასაცავად სისხლს ღვრიდა ფრონტზე, ბურჟუაზია თავის ჯიბის გასასქელებლად ათასგვარ კომერციულ კომბინაციების გამოგონებასა და სპეკულიაციაში ვარჯიშობდა. „სავაჭრო და საბანკო ბურჟუაზიამ, რომელიც მისდევდა ადვილად გამდიდრების გზას, სამართლიანად ამბობს ს. სეფი, განავითარა გახელებული სასპეკულიაციო მოქმედება. სავაჭრო წამოწყებები, ბანკები, მალაზიების მეპატრონეები, კომერციული შუაგველები, საერთოდ ყველა, ვინც ბატონობდა ადებ-მიცემობის დარგში—სპეკულიაციას ეწეოდნენ პირველ საჭიროების საქონლის უქონლობაზე“-ო.² ს. სეფს მხედველობაში აქვს ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიის მოქმედება, მაგრამ იგივე სრულის დაბეჯითებით

¹ იხ. Семейная переписка Романовых, „Красный Архив“. ტ. 83.

² С. С. е ф, Предвестники революции 1917 г. Кн. бор. в Зак. 83. 196.

შეიძლება ითქვას რუსეთის იმპერიის სხვა ადგილების ბურჟუაზიის მოქმედების შესახებაც. ცნობილი ფაქტია, მაგალითად, რომ მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა ჯურის „საქმის კაცები“, სწორედ ბურჟუაზიისა და პრივილეგიურ წრიდან გამოსულნი, სპეკულიაციის საშუალებით გასაოცარის სისწრაფით, პირდაპირ საათობით იძენდნენ დიდ ქონებას და ამ გზით „კეთილ შეძენილ“ სიმდიდრის წყალობით ფუფუნებასა და განცხრომაში უდარდელად დროს ატარებდნენ.

მეფის ხელისუფლება კი ერთგულად იცავდა თავის მასაზრდოებელ კლასის—ბურჟუაზიის ინტერესს და, თუმცა გარეგნულად სპეკულიაციის წინააღმდეგ ზომებს ლებულობდა, მაგრამ ფაქტიურად სწორედ თვით ხელს უწყობდა მის განვითარებას. ამ სპეკულიაციაში ჩაბმული იყო თითქმის ყველა მაღალ თანამდებობის მოხელეები და დაწესებულებებიც კი. ყველა ცდილობდა ხელი შეეებო ხალხის გაყვლეფასა და გადატაკებაში. და როდესაც მოთმინებიდან განოსული, გაძვალტყავებული ხალხი დარბევასა და ექსცესებს ახდენდა, ან მუშები გაფიცვასა და დემონსტრაციას აწყობდა, ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდა მათ. მთავრობა ყოველგვარი ღონისძიებით და გადამჭრელი ზომებით აქრობდა მშრომელთა მასის მოძრაობას და დაუნდობლად მუსარავდა ყოველგვარ წინააღმდეგობის გამოხატულებას. ¹

თვითმპყრობელობის აპარატი, მიუხედავად ხელისუფლების უმაღლესი წრის გახრწნისა და ფუქსავატობისა, ერთგულად იღვა თვითმპყრობელობის საგუშაგოზე. ამ აპარატის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება ამ ხანებში სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მას ძირშივე ჩაეკლა და აღმოეფხვრა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელიც თანდათანობით სულ უფრო ფართე და სტიქიურ ხასიათს ლებულობდა. ამ საქმეს ემსახურებოდა მეფის პოლიცია, ჟანდარმერია, ცენზურა და სასამართლო, რა თქმა უნდა, საჭირო შემთხვევებში ყაზახ-რუსთა და ჯარისკაცთა გამოყენებით.

გაჩნდებოდა თუ არა სადმე არეულობა ან გაფიცვის ნიშნები, მაშინათვე ამოძრავდებოდა თვითმპყრობელობის აპარატი და შეერთებული ძალით შემუსრავდა დაწყებულ მოძრაობას. თებერვლის 14, 15 და 16-ს ბაქოში მომხდარ ზემოდ აღნიშნულ არეულობის ჩაქრობაში, ადგილობრივ პოლიციისა და სხვა ძალების გარდა გამოყენებულიყო: 1) დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ მისაშველებლად გაგზავნილი დერბენტის რაზმი საპოლიციო ჩაფართა 160 კაცის შეზადგენლობით; 2) კავკასიის სამხედრო ოლქის ბრძანებით წარგზავნილი 219 სათადარიგო ბათალიონი 1000 კაცის შემადგენლობით, 220 სათადარიგო ბათალიონი 800 კაცის შემადგენლობით და 3) ყუბანის ჯარების ორი საგანგებო ასეული 295 კაცის შემადგენლობით. ² წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად არეულობაში მონაწილე ხალხს ჯარი და პოლიცია დაუნდობლად გაუსწორდა: დახოცილთა რიცხვი რამოდენიმე ასეულს აღწევდა. ³

ბაქოს შემდეგ 18 თებერვალს ქ. დაურბანდში მომხდარი არეულობა, როგორც ვამბობდით, ჩაქრობილ იქნა „პოლიციის მოხერხებული მოქმედებით“. ⁴

¹ Рабочее движение в 1917 г. გვ. 3.

² С. С е ф, Предвестники революции 1917 г. გვ. 204—205.

³ ibid. გვ. 206.

⁴ ibid. გვ. 206.



იმავე რიცხვებში ქ. გროზნაში დაწყებული არეულობები თავშივე ჩაკლულ იქნა ოლქის უფროსისა და ჟანდარმთა ოფიცრის მიერ „დროზე“ მიღებულ ღონისძიებებით. ¹ სოხუმის არეულობის მონაწილენი, მეფის ნაცვლის თანაშემწის თავად ორლოვის ბრძანებით დაპატიმრებულ იქნენ ადგილობრივ პოლიციის მიერ ივლისის 4-ს. დაპატიმრებულთა რიცხვი 92 კაცს უდრიდა. ²

კიდევ უფრო სასტიკად უმასპინძლდებოდა მეფის მთავრობა და მისი აგენტები ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობას იმპერიის სხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, სადაც მოძრაობას უფრო ფართო და თანაც უფრო ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ თვითმპყრობელობისათვის უფრო მეტ საფრთხეს, ვიდრე სხვადასხვა სოციალური შექადგენლობის დარბევის მონაწილენი, რომელთაც მეტწილად სასურსათო კრიზისით გამოწვეული უკმაყოფილება ამოძრავებდათ, გათვითცნობიერებული და შეგნებული მუშათა არმია წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც მას განსაკუთრებული გულისყური იმ საშიშროებისაკენ ჰქონდა მიქცეული, რომელსაც მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებს გაფიცვები წარმოადგენდა. მრავალათასიანი მუშათა გაფიცვები მოსკოვსა და ლენინგრადში, დონსა და ხარკოვში, ყაზანსა და სხვა ადგილებში, ძალაუნებურად შიშს ჰკვირიდა ხელისუფლებას და აიძულებდა მას გამოენახა რაიმე საშუალება თავის დასაცავად.

მაგრამ ხელისუფლება საშუალებას ვერ ჰპოულობდა, რადგან ასეთი საშუალება მისთვის არც არსებობდა: ერთად-ერთი გამოსავალი გზა, რომელიც მდგომარეობას უშველიდა, ეს იყო რევოლიუცია, რომელიც ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით, როგორც ამ მსკლევლობის აუცილებელი შედეგი, ამდროს უკვე უახლოეს პერსპექტივად მოსჩანდა. რევოლიუცია კი ისეთი საშუალება იყო, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული და, მაშასადამე, თვითმპყრობელობას, ცხადია, არ შეეძლო მიემართა ამ საშუალებისათვის. მას დარჩენოდა ისევ ძველი გზა და ძველი მეთოდი. ეს მეთოდი იყო რეპრესიები—იარაღით ჩაქრობა ყოველგვარი წინააღმდეგობისა—და ამ მეთოდს იგი ფართედ მიმართავდა კიდევც.

მაგრამ ამ საშუალებამ არ გასჭრა. მთავრობამ—„კოლექტიურმა რასპუტინმა“ (ასეა სახელწოდებული მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლება ცენზურის მიერ დაკავებულ ერთ-ერთ წერილში) ³ ვერც რეპრესიებითა და ვერც მინისტრების გამოცვლით ვერ უშველა საქმეს. პირიქით, რეპრესიებით და თავისი უგუნური მოქმედებით მეტი უკმაყოფილება გამოიწვია. მოთმინების ფიალა თანდათანობით აივსო. თებერვლის ბოლო რიცხვებში რევოლიუცია სტიქიურად ერთბაშად შეეხეჩა თვითმპყრობელობას.

¹ ibid.

² ibid. გვ. 211.

³ საბუთი № 1.

ბ. ს. ს. რ.
ცენტროლური მისამართი



ბიბლიოთეკა
A. C. C. P.
ЦЕНТРАЛЬНАЯ

ცენტროლური მისამართი
A. C. C. P.
ЦЕНТРАЛЬНАЯ
ПОРТОВАЯ БИБЛИОТЕКА.

რევოლუციური იმპერიატორი და სწრაფი ხასიათი მიიღო უკვე თებერვლის 26-27-ს იმპერიის ღრივე სატანტო ქალაქი რევოლიუციის ალში იყო გახვეული. თებერვლის 26-ს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე როძიანკო დე-პეშით მოახსენებდა სტავკას—პეტროგრადში დაწყებული მღელვარება სტიქიურ და მეტად სერიოზულ ხასიათს ლებულობს; 27-ს სამხედრო მინისტრი იმავე სტავკას სასწრაფო ცნობას უგზავნიდა—ჯარის ნაწილებშიც დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ, იმედი მაქვს, ეროვნული ნაწილების დახმარებით მალე ჩავაქრობო; რამოდენიმე საათის შემდეგ იგივე როძიანკო კვლავ დეპეშით აცნობებდა სტავკას—პეტროგრადში სამხედრო „ბუნტი“ დაიწყო და ჯარი აჯანყებულთა მხარეზე გადადის; ხოლო გენ. ხაბალოვის იმავე დღის ცნობით ჯარის ნაწილებმა უარი განაცხადეს ხალხის წინააღმდეგ გამოსვლაზე; თებერვლის 28-ს კი იგივე ხაბალოვი სტავკას მოახსენებდა—პეტროგრადში წესრიგის აღდგენა ვერ მოვახერხე, მეამბოხებმა ქალაქის უმეტესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს; მეორე დღეს გენ. კლემმოვისკისაგან კავკასიის მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მოსკოვსა და კრონშტადში უკვე ნამდვილი აჯანყება იყო.¹

192 წ.

რევოლიუცია სრულის გაქანებით წავიდა. პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებას თავბრუდამხვევი სისწრაფე მიეცა.

ახლა კი მიხვდა მთავრობა, რომ მის გარშემო „ბუნტი“ კი არა, ნამდვილი რევოლიუცია იყო! მთავრობის ზოგიერთი წევრები მიხვდნენ იმასაც, რომ ძველი ნაცადი საშუალება—იარაღი—საქმეს უკვე აღარ ჰშველოდა და რომ რევოლიუციის ამ საშუალებით შეჩერება შეუძლებელი იყო. ისინი კარგად ჰხედავდნენ იმას, რომ ნიკოლოზ მეორეს ხსნა და მისთვის ტახტის შენარჩუნების ცდა უნაყოფო იყო, მაგრამ თვითმპყრობელობის გადაარჩენა მათ მაშინ ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნდათ. თვითმპყრობელობის გადაარჩენის საშუალებად ისინი ნიკოლოზ მეორის გადადგომასა და მის მაგიერ სხვა მონარქის ტახტზე აყვანას სთვლიდნენ.

მაგრამ თვით ნიკოლოზი ამას ვერ ხედავდა. იგი რევოლუციის ჯიუტობით კვლავ ჰირვეულობდა. მას არ უნდოდა ტახტი და გვირგვინი ნებაყოფლობით სხვისთვის დაეთმო. და აი იმ დროს, როდესაც პეტროგრადი უკვე რევოლიუციის ალში იყო გახვეული, მისი ბრძანებით პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსად განსაკუთრებული უფლებებით გენ. ივანოვი დაინიშნა რევოლიუციის ჩასაქრობად.² იმავე დროს ბრძანება გაეგზავნათ ჩრდილოეთ ფრონტისა და დასავლეთ ფრონტის მთავარსარდლებს ჯარები დაეძრათ პეტროგრადისკენ რევოლიუციის შესამუსრავად, ხოლო მოსკოვის ჯარების სარდალს წინადადება მიეცა—მოსალოდნელ მოძრაობის წინააღმდეგ წინასწარი ზომები მიიღო.³

¹ საბუთი № 6.
² ibid.
³ ibid.



ყველაფერი ამოა გამოდგა. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა მეფის ბრძანება და ვერ უშველა განწირულ ტახტს. ტახტის გადაარჩენა დაგვიანებული გამოდგა. უკვე ამ დროს იმპერიის თითქმის ყველა კუთხე რევოლუციის ცეცხლით იყო მოცული! თვით პეტროგრადში ძველი მთავრობა აღარ არსებობდა. მისი ადგილი სახელმწიფო საბჭოს ე. წ. დროებითი კომიტეტს ეკირა.¹ ქალაქში პოლიცია განიარაღებული იყო, მის მაგიერ რევოლუციონურ წესრიგს შეიარაღებული მუშები იცავდნენ.² ჯარის ნაწილებიც რევოლუციას ემხრობოდა. გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეულმა ნიკოლოზ მეორემ, შექმნილ გარემოებით იძულებულმა, ახლა კი ყურადილო ბურჟუაზიის დარიგება და 2 მარტს ხელი მოაწერა ისტორიულ საბუთს—ტახტიდან გადადგომის აქტს. აქტი იმავე დღეს ჩაიბარეს დროებითი კომიტეტის მიერ გაგზავნილმა პირებმა—სახელმწიფო სათათბიროს წევრმა გუჩკოვმა და სახელმწიფო საბჭოს წევრმა შულგინმა, ხოლო თვით ტახტი იმავე აქტის თანახმად გადაეცა მონარქიისათვის სანდო პირს, ნიკოლოზის ღვიძლ ძმას, დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს.³ ტახტიდან გადადგომამდე რამოდენიმე წამით ადრე ნიკოლოზმა უკანასკნელად ისარგებლა მონარქის უფლებით და ხელი მოაწერა ორ „უმაღლეს“ ბრძანებას: ერთს—თავად ლვოვის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ დანიშნის შესახებ, ხოლო მეორეს—ღიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უმაღლეს მთავარსარდლად განწესების შესახებ.⁴

ყველაფერი კარგად იყო. ის კომპრომისი, რომელზედაც ნიკოლოზი წავიდა, ბურჟუაზიის მიერ მონარქიის გადასარჩენად წინასწარ მოფიქრებულ გეგმის ერთი ნაწილის რეალიზაციის ცდას წარმოადგენდა. ნიკოლოზის გადაყენებით, როგორც ვამბობდით, ბურჟუაზიას უნდოდა მონარქიის ბედი მომავალში უზრუნველყო. მას უნდოდა თვალი აეხვია მუშებისათვის და დაერწმუნებია ისინი იმაში, რომ ყოველგვარ უბედურების მიზეზი მხოლოდ პირადად ნიკოლოზ მეორე იყო და რომ, მაშასადამე, მისი გადაყენება საქმის გამოსწორებას ნიშნავდა. სინამდვილეში კი მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. მონარქიის ბედილბალი სანდო პირთა ხელში გადადიოდა: ნიკოლოზ რომანოვის ნაცვლად მისი ძმა მიხეილ რომანოვი იქნებოდა მონარქიის მართველი, უზენაეს მთავარსარდლობას, ამ პოსტზე უკვე ნამყოფი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გაუძღვებოდა, ლვოვიც ხომ უცხო კაცი არ იყო და არც თვით დროებითი მთავრობა⁵ წარმოადგენდა რაიმე სა-

¹ დროებითი კომიტეტი შესდგა თებერვლის 27-ს ნიკოლოზ მეორისაგან სახელმწიფო საბჭოს დათხოვნის შესახებ უქაზის მიღების შემდეგ. დროებითი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა 12 კაცი, მათ შორის როძიანკო, შულგინი, კერენსკი და სხვ.

² მუშების შეიარაღების შესახებ დადგენილება გამოტანილი იქნა მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის მიერ თებერვლის 27-ს ღამის 4 საათზე (იხ. Рабочее движение в 1917 г. გვ. 27).

³ საბუთი № 14.

⁴ საბუთი № 11.

⁵ დროებითი მთავრობა შესდგა მარტის 1-ლს (იხ. სტ.). დროებითი მთავრობაში შედიოდა 11 კაცი: 5 კადეტი, 1 პროგრესისტი, 2 ოქტომბრელი, 1 სახელმწიფო საბჭოს ცენტრის ფრაქციის წარმომადგენელი, 1 „უპარტიო“ (შაქრის მრეწველი ტერეშჩენკო) და 1 ტრუდოვიკი (კერენსკი). ამ დროიდან დროებითი კომიტეტის ადგილი დაიჭირა დროებითი მთავრობამ.



ფრთხეს თვითმპყრობელობისათვის. ყოველ შემთხვევაში დროებითი მთავრობასთან თვითმპყრობელობას საერთო ენის გამოჩახვა არ გაუძნელდებოდა.

მაგრამ რევოლიუციამ სხვა გეზით წარმართა თავისი ხოშაღლის საქე. ფაბრიკა-ქარხნების მრავალ რიცხოვან მუშათა კრებებზე გამოტანილ რეზოლიუციებმა და მოთხოვნებმა იმ თავითვე ნათელი გახადა, რომ რევოლიუცია ბურჟუაზიის მიერ ნაფარავუდევ მიმართულებით არ წავიდოდა. მუშები მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღის შემოღებას, ხელუფასის გადიდებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და წარმოებებში მუშების მიღება-დათხოვნის დროს მუშათა კონტროლის დაწესებას,¹ ე. ი. იმას, რაც ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობისათვის მიუღებელი იყო. მუშები მოითხოვდნენ ამავე დროს მონარქიზმის ნაშთების სრულს ლიკვიდაციას და თვითმპყრობელობის ერთგულ პირებთან ყველგვარ კავშირის გაწყვეტას.

ასეთ ატმოსფეროში, რა თქმა უნდა; ნიკოლოზისა და მის დამქაშების გეგმის სისრულეში მოყვანა თვით ამ გეგმის ავტორებსა და მომხრებსაც საძნელო საქმედ მიაჩნდათ. მიხეილ ალექსანდრეს ძემ ვერ გააბედა ნიკოლოზის მიერ გადაცემულ ტახტზე ასვლა, ვერც დიდ მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოახერხა ფაქტიურად უზენაეს მთავარსარდლის პოსტის მიღება: პირველმა მარტის 3-ს უარი განაცხადა ტახტის მიღებაზე, ვიდრე მას „ხალხი“ არ აირჩევდა მეფედ,² ხოლო მეორეს, სანამ ის ტფილისიდან სტავკაში უზენაეს მთავარ სარდლის პოსტის მისაღებად გაემგზავრებოდა, ³ ხელი შეუშალა ამ დროისთვის უკვე ფართედ გაშლილმა მოძრაობამ შესდგომოდა დაკისრებულ მოვალეობას: შემდეგში კი მან „ქკუთით“ ყოფნა არჩია და ხელსაყრელ დრომდე პოლიტიკურ ასპარეზიდან მიიშალა.

დარჩა ერთად-ერთი დროებითი მთავრობა, რომელსაც შეეძლო გაემართლებია ბურჟუაზიისა და მონარქისტების იმედები. დროებითი მთავრობას უნდა დაემყარებია „წესრიგი“ და „აღედგინა მთავრობის დაწესებულებათა სწორი მუშაობა.“⁴ „წესრიგის“ დამყარება ნიშნავდა რევოლიუციის ალაგმვას, ხოლო „მთავრობის“ დაწესებულებათა მუშაობის აღდგენა ჰკულისხმობდა მონარქიულ მთავრობის დაწესებულებების აღდგენას. ასე ესმოდა დროებით მთავრობას თავისი დანიშნულება და ასევე იყო გაგებული მისი მიზანი ბურჟუაზიისა და რეაქციონურ ფენების მიერ. „პეტროგრადში შესდგა დროებითი მთავრობა... სწორდა ოფი-ალურად მეფის ნაცვლის თანაშემწე თავადი ორლოვი ტფილისის გუბერნატორს პოლკ. მანდრიკას,—რომელსაც დასახული აქვს პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი მიზანი—დააპარცხოს რევოლიუციონური მოძრაობა და თავის ხელში დაიჭიროს ძალა-უფლება იმ დრომდე, როდესაც აღდგენილი იქნება მთავრობა, კანონზე დამყარებული“-ო.⁵

ასეთივე აზრი იყო არსებითად გატარებული იმ დეკლარაციაში, რომელიც გამოაქვეყნა დროებითმა მთავრობამ თავის არსებობის მესამე დღეს, მარტის 3-ს.

¹ Рабочее движение в 1917 г. გვ. 3, 27 და შემდეგ
² იხ. საბუთი № 24, 15.
³ ნიკოლოზი ნიკოლოზის ძე ტფილისიდან სტავკაში გაემგზავრა მარტის შვიდს დღის 9 საათზე (საბუთი № 49)
⁴ იხ. საბუთი № 8.
⁵ საბუთი № 17.

11-3250

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური არქივი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური არქივი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური არქივი

ამ დეკლარაციაში, მიუხედავად „რევოლუციონური“ ფრაზეოლოგიისა და ზოგიერთი დაპირებებისა, აშკარად სჩანდა, თუ რა მიზნებს ისახავდა დროებითი მთავრობა და ვისი ინტერესების დაცვას ემსახურებოდა იგი. „დროებითი მთავრობის მანიფესტი—სწერდა ლენინი ამ დეკლარაციის შესახებ—იწვევს სრულს უნდობლობას, ვინაიდან ის შესდგება მხოლოდ დაპირებებისაგან და მას არ შე-
მოაქვს ცხოვრებაში დაუყონებლივ არც ერთი აუცილებელი ღონისძიება, რომელიც საესეებით შესაძლებელია და უნდა განხორციელდეს ახლავე. დროებითი მთავრობა თავის პროგრამაში სიტყვასაც არ ამბობს არც რვასათიან სამუშაო დღისა და არც სხვა გაუმჯობესებების შესახებ“ მუშათა მდგომარეობაში, ის არაფერს ამბობს აგრეთვე არც მემამულეთა ყველა მიწების უსასყიდლოდ გლეხთათვის გადაცემის შესახებ და ამ საკითხების ირავლივ დუმილით დროებითი მთავრობა ამჟღავნებს თავის კაპიტალისტურ და «პომეშიკურ» ბუნებას“-ო. ¹

დიახ, დროებითი მთავრობა სიტყვითაც და საქმითაც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებდა თავის „კაპიტალისტურ და პომეშიკურ ბუნებას“. პირველ შემადგენლობის დროებითმა მთავრობამ სულ ორი თვე იბოგინა და ამ ხნის განმავლობაში მან ვერ შესძლო ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც მუშათა ინტერესების დაკმაყოფილების სურვილით ყოფილიყოს გამოწვეული. პირიქით, მისი ცდა იმთავითვე იქითკენ იყო მიმართული, რომ მუშათა მოთხოვნილებებს ზიანი არ მიეყენებია კაპიტალისტების ინტერესებისათვის. ამ მიზნით დროებითი მთავრობა ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კიდევ აშკარად ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ყოველგვარი გაუმჯობესებანი და შეღავათები წარმოებებში: სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის აწევა, საქარხნო კომიტეტების შემოღება და სხვა—მუშებს თვით შემოჰქონდათ ფაბრიკა-ქარხნებში, ხოლო დროებითი მთავრობა post factum ძალა უნებურად აკანონებდა იმას, რაც უკვე ცხოვრებაში გატარებული იყო მუშების მიერ. ²

აპრილის 20-ს დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა მინისტრის მილიუკოვის ნოტა მოკავშირე სახელმწიფოებისადმი ომის შესახებ. ამ ნოტაში მილიუკოვი არწმუნებდა მოკავშირე სახელმწიფოებს იმაში, რომ მთელი ხალხი რუსეთის იმპერიისა მისწრაფის მსოფლიო ომის გამარჯვებით დამთავრებისაკენ და რომ დროებითი მთავრობა უეჭველად შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებებს, რომლებიც მას მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ მიღებული აქვს თავის თავზე. ³ ამ ნოტამ კიდევ უფრო გამოაშკარადა დროებითი მთავრობის პოლიტიკის შინა ბუნება. ახლა საესებით ნათელი შეიქნა, რომ დროებითი მთავრობა ომის საკითხშიც აგრძელებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა თავის დროზე ნიკოლოზის მთავრობა და რომლის მიზანს საბოლოო ანგარიშში ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა შეადგენდა. ნოტამ სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია მუშათა და ჯარისკაცთა მასაში, რომელიც სრულიად არ იზიარებდა ომის გაგრძელების პოლიტიკას.

¹ Мал. Сов. Энци. т. 2, стр. 306.

² Рабочее движение 1917 г. стр. 39 და შემდ.

³ ibid, стр. 133.



21 აპრილი აღინიშნა მასიური მუშათა დემონსტრაციებით ჯერ პეტრო-გრადასა და მოსკოვში, ხოლო შემდეგ მთელს რუსეთში. ¹ ყველაზე, მუშათა დემონსტრაციასა და კრებებზე გამოტანილ რეზოლიუციებში ლაპარაკი იყო ომის გაგრძელების წინააღმდეგ და გამოთქმული იყო ის აზრი, რომ დროებითი მთავრობას დალუპვისაკენ მიჰყავდა რევოლიუცია. „ბურჟუაზიის მთავრობას, ვკითხულობთ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა ერთ-ერთ რეზოლიუციაში, არასოდეს არ ექნება ჩვენი ნდობა. თუ იგი კვლავ დალუპვისაკენ წაგვიყვანს, ჩვენ ვიტყვი: ხელეები შორს რუსეთის რევოლიუციის წმინდა საქმისაგან“ .² მუშების ზოგიერთი ორგანიზაციები აშკარად გამოსთქვამდნენ აზრს ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ. მოსკოვის მუშათა ერთ-ერთ რეზოლიუციაში პირდაპირაა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დროებითი მთავრობა უნდა გადაყენებულ იქნეს და მის მაგიერ ძალა-უფლება საბჭოებს გადაეცეს. „მოვითხოვთ დროებითი მთავრობის გადაყენებას, რომელიც რევოლიუციის საქმის მხოლოდ მუხრუქს წარმოადგენს, და ძალა-უფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთვის გადაცემას“ — სწერია ამ რეზოლიუციის პირველ მუხლში. ³ მუშათა უკმაყოფილებას მხარს უჭერდა ჯარიც. ⁴

მუშათა და ჯარისკაცთა უკმაყოფილებამ ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ უთანხმებამ მთავრობის შემადგენლობის მემარჯვენე და მემარცხენე ელემენტებს შორის დროებითი მთავრობაში კრაზისი შექმნა. მაისის 4-ს შესდგა ახალი მთავრობა (ე. წ. კოალიციური მთავრობა), რომელშიც კერენსკის გარდა კიდევ ხუთი „სოციალისტი“-მინისტრი შედიოდა: 2 მენშევიკი, 2 ესერი და ერთიც სახალხო სოციალისტი. ⁵ მაგრამ დროებითი მთავრობაში ცრუ სოციალისტების შესვლამ მდგომარეობა ვერ შესცვალა და მარჯვნივ წარმართული პოლიტიკა მარცხნივ ვერ გადახარა. ხელმძღვანელობითი როლი კოალიციურ მთავრობაში კვლავ ბურჟუაზიას შერჩა. ახალმა მთავრობამ ისარგებლა მენშევიკ-ესერების გავლენით მასში, და ბურჟუაზიის კარნახით, უფრო „მაგარი“ კურსი აიღო იმ მიმართულებით, რომ ომი ბოლომდე მიეყვანა და რევოლიუციონური განწყობილება ჯარსა და მუშათა მასაში აღმოეფხვრა. იმპერიალისტური ომის გაგრძელება, კერძო საკუთრების ხელუხლებლობა, დიდმპყრობელური პოლიტიკა მცირე ერების მიმართ (ინციდენტი უკრაინასთან), გლეხებისათვის უფასოდ მემამულეთა მიწების გადაცემაზე უარის თქმა, დამსჯელი ექსპედიციები გლეხების წინააღმდეგ, ჯარის გაგზავნა მუშათა აჯანყებების ჩასაქრობად, სიკვდილით დასჯის აღდგენა ჯარისკაცთა და მატროსებისათვის — აი რა ახასიათებდა, ზოგადად რომ ვთქვათ, კოალიციურ მთავრობის „საქმიანობას“ ამ პერიოდში.

თავის მხრივ ბურჟუაზია ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა დროებითი მთავრობისათვის და ხელი შეეწყო მისთვის ბურჟუაზიულ პოლიტიკის გატარე-

¹ ibid. გვ. 135.

² ibid. გვ. 133.

³ ibid. გვ. 137.

⁴ იხ. Борьба за армию, გვ. 26

⁵ ამით გარდა კოალიციური მთავრობაში შედიოდნენ: 4 კადეტი, 2 ოქტომბრელი, 1 პროგრესისტი, 1 ცენტრიდან და 1-ც უპარტიო-ტერეშჩენკო. მილიუკოვი და გუჩკოვი გავიდნენ მთავრობიდან.

ბის დროს. ამჟამად ბურჟუაზიის ამოცანას შეადგენდა განხეთქილება ჩამოვადო მუშებსა და ჯარისკაცებს შორის და მით დაექსაქსა რევოლუციის ძალები. ბურჟუაზიამ დაიწყო გახელებული აგიტაცია 8 საათიან სამუშაო დღის წინააღმდეგ და ამით შეეცადა დაერწუნებია ჯარისკაცები იმაში, რომ რვა საათის სამუშაო დღის შექოლება ხელს უშლიდა ფრონტის დაკმაყოფილებას და რომ სწორედ მუშათა გადამეტებული მოთხოვნების წყალობით ჯარისკაცები მშვიერ-მწყურვალნი რჩებოდნენ. სურსათის უქონლობას, ტანისამოსის კრიზისს, იარაღისა და ვაზნების სინაკლულეს—ყველაფერს ბურჟუაზია აბრალებდა მუშებს, რომლებიც ვითომდა ჯარისკაცთა წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

ამავე დროს დაიწყო იერში პროლეტარიატის ავანგარდისა და მის მეთაურთა წინააღმდეგ; დაიწყო პროვოკაციული აგიტაცია ბოლშევიკურ პარტიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ამ პარტიის გაეღენა. რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა მასებში, აღმოეფხვრათ და მოესპოთ. ბოლშევიკური გაზეთი „Правда“, რომელიც ამხელდა დროებითი მთავრობას რევოლუციის ლალატში, გამოცხადებულ იქნა მეფის პროვოკატორთა და გერმანიის ჯაშუშთა ორგანოდ.¹

იენისის შეტევამ ფრონტზე და ამ შეტევის შედეგად რუსეთის ჯარის განადგურებამ გერმანელების მიერ, კიდევ უფრო მეტი საბაზი მისცა ბურჟუაზიის პროვოკაციული გამოსვლები გაეძლიერებია ბოლშევიკების წინააღმდეგ.² ახლა ბოლშევიკებს აბრალებდნენ ჯარში ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის განვითარებასა და მის გახრწნას. ასახელებდნენ ჯარის ცალკე ნაწილებსაც კი (მაგ. 607 მლიონოვის პოლკს, 6 გრენადერთა დივიზიას და სხვ.), რომლებმაც ვითომდა ბოლშევიკური პროპაგანდის ზეგავლენით თავის ნებით მიატოვეს ფრონტი და მით ხელი შეუწყვეს მტრის გამარჯვებას.³

ბოლშევიკები, მართლაც ჯერ კიდევ შეტევის დაწყებამდე ყველას გასაგონად ამტკიცებდნენ, რომ ეს შეტევა ავანტიურა იყო და რომ იგი უეჭველად მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ დატრიალებულ უბედურების (შეტევის შედეგების) მიზეზი მარტო ამ სიმართლის თქმაში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ ობიექტური პირობების მიხედვით მაშინ ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო და საერთოდ კი უმიზნო. ეს შეტევა წინდაწინ განწირული იყო იმით, რომ იგი არავის არ უნდოდა, გარდა დროებითი მთავრობისა და ბურჟუაზიისა. თვით დროებითმა მთავრობამ და სარდლობამაც, რაც მთავარია, კარგად იცოდნენ, რომ ეს შეტევა მარცხით დამთავრდებოდა და რომ მას რუსეთის ჯარის განადგურება მოჰყვებოდა, მაგრამ ისინი მაინც შეგნებულად წავიდნენ ამ საშინელ პროვოკაციაზე,⁴ წავიდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ამას დაჟინებით მოკავშირეები მოთხოვდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათ უნდოდათ ფაქტიურად უკვე

¹ Рабочее движение в 1917 г. გვ. 4

² ფრონტზე შეტევა დაიწყო 18 იენისს კერენსკის ბრძანებით, წინასწარ გამოტანილ დადგენილების თანახმად. დედგენილება და შეტევის დრო შეთანხმებული იყო დროებითი მთავრობის მიერ მოკავშირე სახელმწიფოებთან (იხ. С. Рабинович, Борьба за армию в 1917 г. გვ. 22 და შემდეგ.)

³ ibid. გვ. 30

⁴ ibid. გვ. 31—32.

ჩამოვარდნილი მშვიდობიანობა ფრანტზე დაერღვიათ და ქვეყანა ომის ფაქტის წინაშე დაეყენებიათ. ბურჟუაზიას ამით უნდოდა მუშათა და ჯარისკაცთა გულსყური „გარეშე მტრისათვის“ მიეპყრო და შინაური კლასიური წინააღმდეგობა მიეფუჩეჩებია; მას უნდოდა ჯარში ძველი დისციპლინა აღედგინა და ოფიცრობა კვლავ ჯარისკაცებზე გაეხატონებია; ამით მას სურდა საბჭოები სავსებით თავის პოლიტიკისათვის დაექვემდებარებია და ბოლშევიკებთანაც საბოლოოდ ანგარიში გაესწორებია. ერთი სიტყვით, ომის განახლებითა და იენისის შეტევით ბურჟუაზიას უნდოდა რევოლიუციისათვის ძირი გამოეთხარა და მის ნანგრევებზე ბურჟუაზიის დიქტატურა დაემყარებია.¹

შეტევა მარცხით გათავდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ბურჟუაზიისა და დროებითი მთავრობის საერთო ხაზი ჩაიშალა. პირიქით, ამით მთავრობას, როგორც ვამბობდით, მეტი საბაზი მიეცა გაეძლიერებია რეპრესია რევოლიუციონურად განწყობილ ფენების, კერძოდ ბოლშევიკურ პარტიის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ პარტიასთან ბრძოლა იენისის შეტევის შემდეგ დროებითი მთავრობისათვის ვადაიქცა მთავარ საზრუნავ საკითხად. მთავრობის დამოკიდებულება ბოლშევიკურ პარტიისადმი სავსებით ნათლად იყო გამოხატული იმ სიტუაციაში, რომელიც ცნობილმა მენშევიკმა ი. წერეთელმა წარმოსთქვა ჯერ კიდევ 10 იენისისათვის დანიშნულ და შემდეგში ჩაწლილ გამოსვლების მეორე დღეს პეტროგრადის საბჭოსა და ფრაქციების წარმომადგენლების სხდომაზე. „ის, რაც მოხდა—ამბობდა მაშინ ი. წერეთელი წინა დღეებში მომხდარ ამბების შესახებ—არ არის სხვა რამე, გარდა შეთქმულებისა, რომლის მიზანია, დროებითი მთავრობის ჩამოგდება და ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება... შეთქმულება უვნებელი გახდა, როდესაც ჩვენ ის აღმოვაჩინეთ, მაგრამ შეთქმულება შესაძლებელია ხვალ კვლავ განმეორდეს. ამბობენ კონტრევოლიუციამ თავი წამოჰყო. ეს არ არის მართალი. კონტრევოლიუციამ კი არ წამოჰყო თავი, არამედ ჩაჰქინდრა თავი. კონტრევოლიუციას შეუძლია შემოიჭრას ჩვენთან მხოლოდ ერთი კარიდან: ბოლშევიკებისაგან. ის, რასაც სჩადიან ახლა ბოლშევიკები, უკვე აღარ არის იდეური პროპაგანდა, არამედ შეთქმულება... ახლა ჩვენ გადავალთ ბრძოლის სხვა საშუალებებზე... ბოლშევიკები უნდა განიარაღებულ იქნენ. შეთქმულებებს ჩვენ არ დაუშვებთ“-ო.² ახლა, იენისის ამბების შემდეგ, ბურჟუაზია შეუდგა იმის განხორციელებას, რაც მას ი. წერეთლის პირით წინდაწინ აშკარად სთქვა. წერეთლის სიტყვის განხორციელება კი ნიშნავდა არსებითად რევოლიუციის ჩაქრობას; ეს ჰნიშნავდა მუშათა და ჯარისკაცთა იმ ნაწილების დაშლას, რომელიც ბოლშევიკებს მისდევდა; ეს ნიშნავდა თვით ბოლშევიკურ პარტიის დარბევასა და განადგურებას.

მაგრამ ყველაფერი ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. იენისის შეტევამ და ამ შეტევის დამარცხებამ დადებითი შედეგიც მოიტანა რევოლიუციისათვის. და ეს დადებითი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ მან უფრო დაარწმუნა მუშები და ჯარისკაცები დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ზრახვებსა და მომოლალატურ პოლიტიკაში; ხელი შეუწყო ჯარის დაშლასა და ომის საწინააღმ-

¹ ibid.

² ibid. გვ. 34



დევო განწყობილებას; გააღრმავა შიგნით კლასიური წინააღმდეგობანი და დააჩქარა მუშათა კლასის მარცხნით გადახრა. ყველაფერმა ამან კი საერთოდ შეუძლებელი გახადა ერთის დაკვრით იმის განხორციელება, რაც ბურჟუაზიასა და დროებითი მთავრობას ჰქონდა გადაწყვეტილი.

მუშათა კლასმა პროტესტებით უპასუხა დროებითი მთავრობის რეპრესიებსა და კონტრევოლუციონურ ზრახვებს. ივლისის 4-ს პეტროგრადში მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც 500.000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ამ დემონსტრაციამ საკმაო სიძახდით ნათელი გახადა ის გარემოება, რომ დროებითი მთავრობასა და რევოლუციას შორის არაერთი არ არსებობდა და რომ დროებითი მთავრობა მუშებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. დემონსტრაციამ აშკარად დაანახვა დროებითი მთავრობას, რომ მუშათა კლასი მის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. დემონსტრაციაზე მუშები გარკვევით მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის გადაყენებას და ძალა უფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთვის გადაცემას.¹ დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია.

დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომებით გაესწორებია ანგარიში ბოლშევიკებისათვის. მთავრობამ ააპოძრავა აპარატი: ჩრდილოეთ ფრონტის არმიის სარდალს ფიცხელი ბრძანება გაეგზავნა—პეტროგრადისკენ სანდონაწილები დაეძრა, ბალტიის ფლოტის სარდალს დეპეშით ებრძანა—კრონშტადიდან არც ერთი გემი არ გამოეშვა მუშებისათვის მისაშველებლად; ფრონტიდან ჯარების მოსვლამდე დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყვანილ იქნენ იუნკრები და ყაზახ-რუსები. ამავე დროს მთავრობის აგენტებმა ბოლშევიკური პარტიის გაუღენის მოსოპბის მიზნით პროვოკაციული ხმები გააფრცელეს და „საბუთებითაც“ დამტკიცებას შეეცადნენ, რომ ვითომცდა ლენინი გერმანელების ჯაშუშია. უკვე ივლისის 5-ს პეტროგრადში რევოლუციის ჩასაქრობად დროებითი მთავრობის ერთგული ჯარის ცხენოსანიზნაწილებიც შემოვიდნენ.²

მთავრობამ ძალების დარაზმვა და დემონსტრანტების განადგურება მოახერხა: ლენინის წინააღმდეგ პროვოკაციული ხმების გაფრცელებით დემონსტრანტებში დეზორგანიზაცია შეიტანა, ჯარების დახმარებით მუშები განაიარაღა და დაშალა, პარტიას ლახვარი ჩასცა—მისი საუკეთესო წევრები ციხეში ჩასვა, მრავალი აქტიური მონაწილე სიკვდილით დასაჯა. ივლისის 15-ს კერენსკის ბრძანებით ბოლშევიკური გაზეთები: „Правда“ და „Окопная правда“ დაიხურა.³ მუშები დამარცხდნენ. მოძრაობა ჩაქრობილ იქნა.

პეტროგრადის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა მოძრაობა ჩაქრობილ იქნა ნიჟნი-ნოვგოროდსა, კიევსა და სხვა ქალაქებში.⁴ მთელს რუსეთში ნამდვილი რეაქცია დაიწყო.

მუშების დამარცხება ბურჟუაზიამ თავისი საბოლოო გამარჯვებად ჩასთვალა. ახლა მან შეტევა ეკონომიურ ბრძოლის ფრონტზე გადაიტანა: ხელფასის

¹ იხ. Рабочее движение в 1917 г. გვ. 140 და შემდ.

² Борьба за армию, გვ. 25

³ საბუთი № 108. დახურვამდე ივლისის 4-ს „Правда“ მთავრობის წაქეზებით დაარბიეს იუნკრებმა (იხ. Ленин, Сочинения, ტ. XXI, გვ. 14.)

⁴ Борьба за армию, 36.



საკითხში, პროფესიონალურ ორგანოთა და საქარხნო კომიტეტების მოწყობის საქმეში, წარმოებებში ძალაუფლების აღების საკითხში და სხვა საკითხებში ბურჟუაზიამ ივლისის ამბების შემდეგ უფრო მტკიცე ხაზი აიღო მუშების წინააღმდეგ. სოციალ-შემთანხმებლების მიერ ზურგ გამაგრებული ბურჟუაზია ახლა იმ დათმობაზედაც უარს ამბობდა, რომლებიც ივლისის ამბების დატრიალებამდე მუშათა ზეგავლენით ცხოვრებაში უკვე გატარებული იყო: ბურჟუაზიამ უარი განაცხადა შვებულებისა და ივლისის გაფიცვის დროის ხელფასის გაღებაზე. ლოკაუტი და საბოტაჟი მუშების წინააღმდეგ ბრძოლის ლეგალურ ფორმად გაგადაიქცა.¹

უმაღლესმა სარდლობამ, რომლის დახმარებითაც ჩააქრო დროებითმა მთავრობამ ივლისის მუშათა მოძრაობა, თავისი პრეტენზიები და ზრახვები ახლა უფრო აშკარად გამოაცხადა. სარდლობა ივლისის ამბების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას ხელსაყრელ პირობად სთვლიდა იმისათვის, რომ თავისი კონტრრევოლუციონურ იზრახვები და ამ ზრახვების განსახორციელებლად ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ დღეებში დასახული გეგმები სისრულეში მოეყვანა. სარდლობა დროებითი მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ მას იმთავითვე მემარჯვენე ხაზი ჰქონდა აღებული, საესებით არასოდეს არ ენდობოდა. პირველ ხანებში მათ შორის არსებული კონტაქტი დამყარებული იყო იმ ანგარიშზე, რომ დროებითი მთავრობა შეიძლება გამოყენებულიყო სარდლობის მიერ თვითმპყრობელობის გადასარჩენად. ახლა კი სარდლობა იმდენად გათამამებული იყო, რომ მას დროებითი მთავრობის გამოყენებაც საჭიროდ არ მიაჩნდა. პირველად შედგენილ გეგმის მიხედვით დროებითი მთავრობა მონარქისტებისათვის ის შირმა უნდა ყოფილიყო, რომლის უკან თვითმპყრობელობის საქმის გაკეთება შეიძლებოდა. დროებითი მთავრობის გავლენით მასაზე² მონარქისტებს უნდოდათ ესარგებლათ იმისათვის, რომ რევოლუცია „უსისხლოდ“ ჩატარებულიყო და მას არ აღეგავა დედამიწის პირიდან თვითმპყრობელობის ყოველი ნაშტი. დროებითი მთავრობა უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ ის ლაგამი, რომლითაც ბურჟუაზიას უნდოდა რევოლუციის დამორჩილება. მაგრამ ახლა, როდესაც თვითმპყრობელობის წარმომადგენლებმა — კონტრრევოლუციონურმა სარდლობამ — იმდენად სტაბილურად ჩასთვალეს თავიანთი მდგომარეობა, რომ დროებითი მთავრობის გარეშეც რევოლუციას დაიმორჩილებდნენ, ზედმეტად ჩასთვალეს დროებითი მთავრობასთან კონტაქტიც კი. სარდლობას ახლა აშკარად არ მოსწონდა ის გარემოება, რომ დროებითი მთავრობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა³ და რომ ის ამ გავლენის წყალობით მუშათა სასარგებლოდ ზოგიერთ დათმობაზე მიდიოდა. ამიტომ სარდლობამ ივლისის აზბე-

¹ იხ. Рабочее движение в 1917 г. გვ. 99 და შემდ.

² პირველ ხანებში დროებითი მთავრობას მართლაც დიდი გავლენა ჰქონდა მასებზე. ამას მოწმობს სხვათა შორის ის აუარებელი დეპეშები (14.000-ზე მეტი) რომლებიც მოსდიოდა დროებითი მთავრობას თებერვლის რევოლუციის პირველ ორ კვირაში (იხ. Рабочее движение в 1917 г. გვ. 131 და შემდ.)

³ ეს უნდობლობა, რა თქმა უნდა, თავიდანვე არსებობდა. ჯერ კიდევ სამი მარტის დეპეშაში გენ. ალექსეევი სწერდა მეფის ნაცვალს კავკასიაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს — რომდინკო მემარცხენე პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფება და მის განწმენადებებში გულწრფელობა არ არის (საბუთი № 18).



ბის შემდეგ მტკიცედ გადასწყვიტა დროებითი მთავრობასთან, თუ ის არ დამორჩილდებოდა მას, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა და თანდათანობით ძალაუფლება თვით აეღო ხელში.

ივლისის 16-ს სტავკაში მოწვეულ იქნა მთავრობის და მთავარსარდლების თათბირი. თათბირზე სარდლობამ დენიკინის პირით შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა: 1) პეტროგრადმა (ე. ი. დროებითი მთავრობამ) სრულიად უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი სამხედრო კანონმდებლობა, 2) ჯარიდან უნდა განიდევნოს პოლიტიკა, 3) გაუქმდეს ჯარისკაცთა უფლებების დეკლარაცია, 4) გაუქმდეს კომიტეტების და კომისიების ინსტიტუტი, 5) დაუბრუნდეს ხელისუფლება უფროსებს, აღდგენილ იქნეს დისციპლინა და წესრიგის გარეგნული ფორმები, 6) სამხედრო აჯანყებების ჩასაქრობად შესდგეს რეზერვი სანდო ნაწილებისაგან და 7) შემოღებული იქნეს სიკვდილით დასჯა.¹ სარდლობის მოთხოვნები მთავრობის წარმომადგენლების მხრივ (კერენსკი, ტერშენკო) სუსტი შედაგება გამოიწვია. შედაგება უმთავრესად იმის გარშემო სწარმოებდა, რომ სარდლობის ღონისძიებები თანდათანობით და არა ერთბაშად უნდა გატარებულიყო. არსებითად კი მთავრობა სარდლებს ეთანხმებოდა და, მაშასადამე, გამარჯვება ფაქტურად სარდლობას დარჩა.²

მთავრობაც შეუდგა გენერლების ნაკარნახევ პროგრამის განხორციელებას. პირველ ამოცანას შეადგენდა რევოლუციონურ პეტროგრადის განიარაღება. ეს ამოცანა ნაწილობრივ უკვე შესრულებული იყო ივლისის რეაქციის დროს, როდესაც მუშების შეიარაღებული ორგანიზაციები—წითელი გვარდია დარბეულ იქნა. მაგრამ პეტროგრადის ახლო იმყოფებოდა რევოლუციონური კრონშტადტი--ბოლშევიზმის ციტადელი და საჭირო იყო ამ ციტადელის მოსპობა. რადგან კრონშტადტის დამორჩილება არც ისე ადვილი საქმე იყო, მთავრობამ გადასწყვიტა შემდეგი ხერხისთვის მიემართა: მან სავსებით გააუქმა კრონშტადტის ციხე.³ პარალელურად დაიწყო პეტროგრადიდან რევოლუციონურ ნაწილების გაყვანა და მის ნაცვლად კონტრრევოლუციონურ ნაწილების შემოყვანა. ამავე დროს ფართედ გაიშალა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც ივლისის ამბების შემდეგაც კვლავ განაგრძობდნენ დროებითი მთავრობის მხილებას. ერთი სიტყვით, დროებითი მთავრობა არ ზოგავდა არავითარ საშუალებას, რომ სარდლობის გულისწყრომა თავიდან აეცილებია და მასთან კანტაქტი აღედგინა.

მაგრამ დროებითმა მთავრობამ ყოველგვარ ცდისდა მიუხედავად, მაინც ვერ შესძლო სარდლობის სრული ნდობის დამსახურება. სარდლობა კვლავ აღმაცერად უყურებდა დროებითი მთავრობის „სოციალისტურ“ განხრას. ამ უნდობლობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ ივლისის პირველ რიცხვებში დროებითი მთავრობიდან კადეტები გავიდნენ. კადეტების გასვლა გამოიწვია უკრაინის ცენტრალურ რადასთან დადებულმა შეთანხმებამ უკრაინისთვის ზოგიერთი ავტონომიური უფლებების მინიჭების შესახებ.⁴ კადე-

¹ Борьба за армию, გვ. 37—38

² ibid. გვ. 38.

³ ibid. გვ. 41.

⁴ Малая Совет. Энци. ტ. 2, გვ. 307. კადეტების გასვლის შესახებ იხ. ლენინის საინტერესო წერილი, სწორედ კადეტების გასვლის დროს დაწერილი (Ленин, сочинения, XXI).

ტების გასვლამ დროებითი მთავრობას საესეებით დაუკარგა ნდობა სარდლობის თვალში იმის გამოც, რომ ამით მოკავშირეებთან კავშირის გაწყვეტის საფრთხე იზადებოდა: მოკავშირეებს „სოციალისტურ“ მთავრობასთან საქმის დაქერა არ სურდათ. მეორეს მხრივ კადეტების გასვლამ კრიზისი შექმნა თვით დროებითი მთავრობაში, რომელმაც კადეტების გასვლის შემდეგ საესეებით დაქარგა გზა და კვალი.

ივლისის 22-ს დროებითი მთავრობისა და პოლიტიკურ პარტიათა ცეკას თათბირმა დაავალა კერენსკის შეედგინა ახალი კაბინეტი. ივლისის 24-ს დიდის სიძნელით შესდგა უკვე მესამე დროებითი მთავრობა, რომელშიც შევიდნენ: 3 მენშევიკი, 3 ესერი, 1 სახალხო სოციალისტი, 1 ტრუდოვიკი, 6 კადეტი და 1 „უპარტიო“. ახალმა დროებითმა მთავრობამაც გააგრძელა ის ხაზი, რომელიც მეორე შემადგენლობის დროებითი მთავრობას ჰქონდა აღებული ივლისის ამბების შემდეგ, ე. ი. ის ხაზი, რომელიც არც რევოლიუციისათვის იყო მისაღები და არც კონტრევოლიუციისათვის, მაგრამ არსებითად კონტრევოლიუციას უწყობდა ხელს.

ავვისტოს 12-ს მოსკოვში მოწვეულ სახელმწიფო თათბირზე კვლავ დაისვა საკითხი სარდლობისა და დროებითი მთავრობის ურთიერთობის შესახებ. ბურჟუაზიასა და სარდლობას უნდოდა გაოერკვია მეტის სიცხადით, თუ როგორი იქნებოდა მომავალში დროებითი მთავრობის პოლიტიკა და რას ჰფიქრობდა იგი არსებულ და მომავალში მოსალოდნელ მუშათა მოძრაობის შესახებ. ყურადღების ცენტრში, რათქმა უნდა, იდგა საკითხი ბოლშევიკურ საფრთხისა და ამ საფრთხის მიმართ დროებითი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. დროებითმა მთავრობამ კერენსკის პირით სრულიად გარკვევით უპასუხა სარდლობის შეკითხვაზე, რომ ყოველგვარი აჯანყება ჩაქრობილი იქნება სისხლითა და მახვილითო. ¹ სარდლობის წარმომადგენლები, როგორც მაგ. კალედინი, ალექსეევი და სხვები უნდობლობას გამოსთქვამდნენ დროებითი მთავრობის მიმართ და ეჭვი შეჰქონდათ მის დაპირებებში. მაგრამ თვით გენ. კორნილოვი, მომავალი კონტრევოლიუციის მთავარი გმირი, ² მონდომებით ჰმალავდა თავის განზრახვას და ყველაფერში მხარს უჭერდა მთავრობას. კორნილოვის სოლიდარობა დროებითი მთავრობასთან მხოლოდ ტაქტის საკითხი იყო. კორნილოვი „ტაქტიკურად“ იქცეოდა. და რომ მართლაც კორნილოვის მოქმედება მხოლოდ განზრახვის დამალვისაქდა იქვის აცდენის სურვილით იყო გამოწვეული, ეს ნათლად დაამტკიცა შემდეგმა ამბებმა, რომლებიც კორნილოვმა მოსკოვის თათბირის შემდეგ უკვე საესეებით აშკარად დაატრიალა.

ავვისტოს 26-ს გენ. კორნილოვმა თავად ლვოვის საშუალებით მოთხოვნილება წარუდგინა დროებით მთავრობას გადამდგარიყო და მთელი ძალა-უფლება მისთვის გადაეცა. ³ წინდაწინ, ჯერ კიდევ ავვისტოს 20-ს, კორნილოვმა რიგა დაუთმო გერმანელებს პროვოკაციული მიზნით, რომ ბრალი დროებითი მთავრობისთვის დაეკისრებია. „რიგა აღებულია იმის გამო—უთვლიდა კორნილოვი

¹ Борьба за армию в 1917 г. გვ. 41.

² კორნილოვს ამ დროს უზენაეს მთავარსარდალის პოსტი ეჭირა. ეს პოსტი შესთავაზა მას დროებითი მთავრობამ ივლისის ამბების შემდეგ.

³ იხ. საბუთი № 114.



კერენსკის, — რომ ჩემი წინადადებები, დროებით მთავრობისათვის წარდგენილი, აქამდე მის მიერ დამტკიცებული არ არის“—ო.¹ შედგენილი გეგმის თანახმად, ვიდრე კორნილოვი დროებით მთავრობას აშკარად ულტიმატუმს წარუდგენდა, ჯარის ნაწილები უნდა მოახლოვებოდა პეტროგრადს, ვითომდა ბოლშევიკების მიერ განზრახულ შეიარაღებულ აჯანყების ჩასაქრობად. ხოლო როდესაც კორნილოვის ჯარი ქალაქში შევიდოდა, სასწრაფოდ დაუნდობლად უნდა გასწორებოდა ბოლშევიკებსაც და მასთან ერთად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაც.²

რომ კორნილოვის კონტრრევოლუცია მართლაც წინასწარ მოფიქრებული იყო, ამას ჰმოწმობდა სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ იმ დღესვე, როდესაც გამოქვეყნდა კერენსკის ბრძანება კორნილოვის გამოსვლისა და მის წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ,³ მაშინათვე მთელმა სარდლობამ დეპეშით აცნობა დროებით მთავრობას, რომ ის კორნილოვის მხარეზე არის. „დღეს მივიღე ცნობა, რომ გენ. კორნილოვი, რომელმაც წარადგინა გარკვეული მოთხოვნები... იხსნება უზენაეს მთავარსარდლის პოსტიდან. ამაში ვხედავ ხელისუფლების დადგომას ჯარისა და, მაშასადამე, ქვეყნისაც თანდათანობით დაშლის გზაზე. ამიტომ ვალად ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო დროებით მთავრობას, რომ მე მასთან ამ გზით არ წავალო“—სწერდა გენ. დენიკინი კერენსკის აგვისტოს 27-ს.⁴ „რუსეთის ხსნის გულისათვის თქვენ უნდა გაჰყვეთ გენერალ კორნილოვს, და არა ჩამოაყენოთ ის. გენ. კორნილოვის ჩამოყენება გამოიწვევს ისეთ საშინელებებს, რომლებიც ჯერ რუსეთში არ მომხდარა“—ო—აცნობებდა კერენსკისვე გენ. ლუკომსკი იმავე 27 აგვისტოს.⁵ „უმაღლეს მთავარსარდლობის გადაყენება... მიმაჩნია უკიდურესად სახიფათოდ... სრულიად ვიზიარებ გენ. კორნილოვის წინადადებას... და ვალად ვრაცხ განვაცხადო, რომ კორნალოვის გადაყენება უეჭველად დამლუპველ გავლენას იქონიებს ჯარსა და რუსეთის დაცვაზეო“—დეპეშას უგზავნიდა კერენსკის გენ. შჩერბაჩოვი მეორე დღეს.⁶ ასეთივე განცხადებებით მიმართენ დროებით მთავრობას გენ. კლემბოვსკიმ⁷, გენ. ბალუევა⁸, გენ. ვანოვსკიმ⁹, გენ. სელივაჩევმა,¹⁰ გენ. ერდელიმ¹¹ და სხვებმა. ეს ფაქტი ჰმოწმობს, როგორც ვთქვით, იმას, რომ კორნილოვის კონტრრევოლუცია წინასწარ საკმაოდ მომზადებული იყო, მაგრამ ამავე დროს ჰმოწმობს იმასაც, თუ რამდენად თავაშეგებული იყო ამ დროს, დროებით მთავრობის ორჭოფული პოლიტიკისა და მემარჯვენე გადახრების წყალობით, მთელი რუსეთის შავრახმელობა.

¹ Борьба за армию, გვ. 42

² ibid. გვ. 42.

³ საბუთი № 116

⁴ იხ. საბუთი № 114.

⁵ იხ. საბუთი № 117

⁶ საბუთი № 119

⁷ საბუთი № 120

⁸ საბუთი № 121

⁹ საბუთი № 122

¹⁰ საბუთი № 123

¹¹ საბუთი № 125



მაგრამ კორნილოვის გამოსვლის თვით შედეგებმა სხვა გარემოება გამოაშკარავა. რეაქცია მოსტყუვდა ანგარიშში. მუშათა კლასმა, ფაქტიურად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ხოლო ფორმალურად კერენსკის მთავრობის მოწოდებით, იშვიათი რევოლუციონური ალლო და ერთსულოვნება გამოიჩინა: მან შესძლო სწრაფად, 2—3 დღის განმავლობაში, კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაცია. მთელი მშრომელი მასსა რუსეთისა, როგორც ერთი კაცი, ადგა კონტრრევოლუციის შესამუსრავად და კონტრრევოლუციაც დამარცხდა. მუშებმა გაიმარჯვეს.

კორნილოვის ამბოხების ასე სწრაფად ალაგმამ ნათელი გახადა ის გარემოება, რომ რუსეთის პროლეტარიატი არ დასთმობდა რევოლუციას და არ მისცემდა ნებას ვინმეს, რომ ის ფებ-ქვეშ გაეთელა; კორნილოვის გამოსვლების შედეგებმა გამოაშკარავა ის ფაქტიც, რომ მუშათა კლასი კარგად იცნობდა, თუ ვინ არის რევოლუციის მტერი ან მოყვარე და რომ მას შეუძლია მტერს ღირსეულად გაუმკლავდეს.

მაგრამ სწორედ ეს შეგნება იმისა, თუ ვინ არის რევოლუციის მტერი, ან მოყვარე, უკარნახებდა პროლეტარიატს ახლა მთელი თავისი გულისყური მიექცია დროებითი მთავრობის მოქმედებისათვის და ეს მოქმედება თავის კონტროლის ქვეშ დაეყენებია. დროებითი მთავრობის მოქმედებაზე მუშათა კონტროლის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ამჟამად იმ გარემოებითაც, რომ კორნილოვის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ დროებითმა მთავრობამ სარდლობის მიმართ კვლავ ორჭოფული პოზიცია დაიჭირა: იმის ნაცვლად, რომ მას ამბოხების მონაწილენი სასტიკად დაესაჯა და მომავალში ასეთი ამბოხების გამეორების შესაძლებლობა აღმოეფხვრა, მეტის-მეტი ლმობიერება გამოიჩინა და უმაღლესი სარდლობა კვლავ რეაქციონურ ელემენტების ხელში დასტოვა. საყურადღებოა ამ მხრივ კერენსკის ის ბრძანება, რომელიც სწორედ კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაციის მეორე დღეს არის გაცემული და რომელიც შეეხება კორნილოვისთვის „სტრატეგიული“ აუცილებლობით გამოწვეულ განკარგულებების უფლების მიცემას. „ყველა ოპერატიული განკარგულებები, თანამედროვე სტრატეგიული პირობებით გამოწვეული..., უნდა იცემოდეს გენ. კორნილოვის მიერ. ეს განკარგულებები ზუსტად უნდა სრულდებოდენ ყველა ჯარის მთავარსარდლების მიერ“-ო,¹ ვკითხულობთ ამ ბრძანებაში.

დროებით მთავრობის ასეთი მოქმედება ეჭვს ჰბადებდა იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო დროებითი მთავრობასა და კორნილოვს შორის კვლავ შეთანხმება მომხდარიყო. მით უფრო საფუძვლიანი და მოსალოდნელი იყო ამ ეჭვის გამართლება, რომ მოკავშირეების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ინგლისის წარმომადგენელი, დაბეჯითებით ცდილობდნენ შეერიგებიათ კორნილოვი და დროებითი მთავრობა.² ამაში ამჟამად დაინტერესებული იყო ბურჟუაზიაც.

¹ საბუთი № 137

² Борьба за армию, გვ. 42. ამნაირ შეთანხმების შესაძლებლობას ჰმოწმობს აგრეთვე ზოგიერთი სარდლის დებეშები, რომლებშიც გამოთქმულია დროებითი მთავრობისა და კორნილოვის შერიგების სურვილი (იხ. საბუთები № 131, 132).



მაგრამ პროლეტარიატის უნდობლობას დროებითი მთავრობისადმი იწვევდა არა მარტო მისი ორჭოფული პოზიცია სარდლობისადმი, არამედ სხვა მიმართულებით აღებული გეზიც. დროებითი მთავრობა კორნილოვის ამბოხების ჩაქრობის შემდეგაც სრულიად არ ჰფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეგვარებია მუშების მდგომარეობა, იმ მუშების, რომლებმაც ესეც იყო მას სული შეარჩინეს. პირიქით, ის კვლავ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ დაეცვა კაპიტალისტების ინტერესები და როგორ უზრუნველ ეყო ისინი მუშების იერიშისაგან. ომის გაგრძელება, სარდლობასთან კონტაქტის აღდგენა, მუშათა მოძრაობის სრული ლიკვიდაცია—აი დროებითი მთავრობის მიზნები.

ასეთი მიზნების დასახვა დროებით მთავრობას კიდევ უფრო მარჯვნივ მიაქანებდა. ის თანდათანობით შორდებოდა რევოლუციას და კონტრრევოლუციის ბანაკს უახლოვდებოდა. მაგრამ დროებითი მთავრობის ტრაგიზმი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ვერც კონტრრევოლუციას დაუკავშირდა სავსებით. დროებითი მთავრობა შუაში იყო გაჩხირული რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის: მას არ ჰქონდა სრული ნდობა არც ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციის, არც მით უფრო მუშათა კლასისა და რევოლუციის.

კორნილოვის გამოსვლის შემდეგ ეს უნდობლობა მუშების მხრივ იმდენად გაიზარდა, რომ დროებითმა მთავრობამ სრულიად აღარ იცოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო: კონტრრევოლუციის ბანაკში სავსებით გადასვლას იგი მუშების შიშით ვეღარ ჰხედავდა, ხოლო რევოლუციასთან შესისხლხორცება მის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა.

ასეთი ორჭოფული პოზიცია, რომელიც საერთოდ ახასიათებდა ყველა შემადგენლობის დროებითი მთავრობას თავიდან ბოლომდე და რომელმაც მისი ბედი წინასწარ გადასწყვიტა, განსაკუთრებით საბედისწერო იყო მისთვის ახლა, როდესაც კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ მუშათა მოძრაობამ არაჩვეულებრივად ფართე ხასიათი მიიღო და როდესაც მუშებმა გადაჭრით დასვეს საკითხი ყოველგვარ კონტრრევოლუციის ნაშთების სავსებით აღმოფხვრის შესახებ. საბედისწერო იყო იმიტომ, რომ მუშები იმპერატიულად მოითხოვდნ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო რაკი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დროებით მთავრობას თავისი კლასიური ბუნების გამო აღარ შეეძლო, ამიტომ თავისთავად ისმოდა საკითხი პროლეტარიატისათვის—ისეთი საშუალების გამოძახებისა, რომელიც უზრუნველჰყოფდა მუშათა კლასის ინტერესებს. ეს საშუალება იყო დროებითი მთავრობის და მასთან ერთად მთელი კონტრრევოლუციის ლიკვიდაცია და პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება. პროლეტარიატიც თავისი ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის—მეთაურობით ენერგიულად შეუდგა თავის ისტორიული მისიის შესრულებას.

III

კორნილოვის რეაქციის დამარცხების შემდეგ რევოლუციის სათავეში ფაქტიურად ბოლშევიკები მოექცნენ. მენშევიკებმა და ესერებმა, რომელთაც რევოლუციის პირველ ხანებში საკმაო გავლენა ჰქონდათ მუშებსა და ჯარისკაცებში, ამ დროისთვის უკვე თითქმის სავსებით დაჰკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა. ეხლა ერთად-ერთი პარტია, რომელსაც მშრომელი მასა ენდობოდა,—ეს იყო ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკურმა პარტიამ, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ დროებითი მთავრობა და „სოციალისტური“ პარტიები სასტიკ რეპრესიებსა და ათასგვარ პროვოკაციულ ზომებს მიმართავდნენ,—მაინც შესძლო თანდათანობით დაერწმუნებია მუშები არა მარტო სიტყვითა და ლოზუნგებით, არამედ თავისი მოქმედებითაც იმაში, რომ მხოლოდ ის იყო ის პარტია, რომელიც მათ ინტერესებისათვის იბრძოდა.

დროებითი მთავრობის არსებობის უკანასკნელ თვეებში, ე. ი. კორნილოვის ამბოხებიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე, ბოლშევიკების გავლენა მასაზე იმდენად გაიზარდა, რომ უკვე ოქტომბრის დასაწყისში ღათ ხელში მოექცნენ თითქმის ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, პროფკავშირები და საბჭოების მუშათა და ჯარისკაცთა სექციები. თუ რამდენად დიდი იყო ამ დროს ბოლშევიკების გავლენა მუშათა კლასზე და მცხოვრებთა უღარიბეს ფენებზე, ამას მხოლოდ სხვათა შორის იმ არჩევნების შედეგები, რომელთაც ამ ხანებში ადგილი ჰქონდათ პეტროგრადსა, მოსკოვსა და სხვა ადგილებში. ყველა ამ არჩევნებზე მუშებს მეტ წილად გაჰყავდათ ბოლშევიკები. ასე, მაგალითად, „ლესნერის“ ქარხანაში, სადაც ჯერ კიდევ სექტემბერში ესერებს ჰქონდა ხმების აბსოლუტური უმეტესობა, ოქტომბრის დასაწყისში საქარხნო კომიტეტის არჩევნებში ბოლშევიკებს ხმა მისცა 471 მუშამ, ესერებს კი—155, ხოლო მენშევიკებს—23; ბოლშევიკებმა გაიყვანეს 6 კაცი, ესერებმა—2 კაცი, ხოლო მენშევიკებმა—ვერც ერთი;¹ „ძველს პარვიანენ“-ის ქარხანაში 2.100 ხმიდან ბოლშევიკებმა მიიღეს 1800 ხმა, ხოლო ესერებმა—მხოლოდ 300 ხმა;² ქარხანა „დინამო“-ში ბოლშევიკებმა მიიღეს 1 $\frac{1}{2}$ -ზე მეტი ხმა, ვიდრე ესერებმა, რომლებიც იქ მანამდე დიდი გავლენით სარგებლობდნენ; ³ პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმში სექტემბრის არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს 6 ადგილი, ესერებმა—3, ხოლო მენშევიკებმა—2, საბჭოს თავმჯდომარედ გაყვანილ იქნა ბოლშევიკი;⁴ მოსკოვის ცენტრალურ საბჭოში ამავე ხანებში მომხდარ არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს მთელი ხმების 51 $\frac{0}{100}$, ხოლო ესერებმა კი—მხოლოდ 14 $\frac{0}{100}$, მაშინ როდესაც აპრილში იმავე საბჭოს არჩევნებში ამ ხმების რაოდენობა პირუტყუ პროპორციით იყო წარმოდგენილი: მაშინ ესერებს ჰქონდათ მთელი ხმების 58 $\frac{0}{100}$, ხოლო ბოლშევიკებს—12 $\frac{0}{100}$;⁵ პეტროგრადის ქალაქის საბჭოში აგვისტოს არჩევნებში

¹ Рабочее движение в 1917 г. გვ. 288.

² ibid. გვ.289.

³ ibid.

⁴ ibid. გვ. 292.

⁵ М. С. შ. ტ. 6, გვ. 55.



ბოლშევიკებმა გაიყვანეს 67 კაცი, ნაცვლად 37-სა; მენშევიკებმა კი — 8 კაცი, ნაცვლად 40-ისა¹ და ასე სხვაგანაც.

ასეთივე დიდი იყო ბოლშევიკების გავლენის ზრდა უკანასკნელ ხანებში ჯარისკაცთა მასაში. როგორც ვიცით, რევოლუციის პირველ ხანებში ჯარის ნაწილების აბსოლუტური უმეტესობა ესერებისა და ნაწილობრივ მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმდენად დიდი იყო მაშინ ესერებისა და მენშევიკების გავლენა ჯარში, რომ დროებითმა მთავრობამ მათი დახმარებით შესძლო ივლისში ჯარები გამოეყვანა მუშების წინააღმდეგ და სწორედ ჯარის საშუალებით ჩააქრო მაშინდელი მუშათა მოძრაობა. ახლა კი, როდესაც ბოლშევიკებმა შესძლეს გზა გაეკაფათ ჯარში და გაცნოთ მათთვის თავიანთი ლოზუნგები, სრულიად საწინააღმდეგო განწყობილება იყო შექმნილი: ჩრდილოეთ ფრონტისა, დასავლეთ ფრონტისა და ბალტიის ფრონტის ჯარისკაცები აშკარად ბოლშევიკებს ემხრობოდნენ და დროებით მთავრობის საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილი. საყურადღებოა ამ მხრივ დასავლეთ ფრონტისა და ჩრდილოეთ ფრონტის ჯარის ნაწილებში ნოემბერში მომხდარ არჩევნების შედეგები: ჩრდილოეთ ფრონტზე არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 780 ათასმა კაცმა, აქედან ბოლშევიკებს მისცა ხმა 480 ათასმა, ე. ი. მთელი ხმების 60%-ზე მეტმა; დასავლეთის ფრონტზე არჩევნებში მიიღო მონაწილეობა სულ 976 ათასმა კაცმა, აქედან ბოლშევიკებს ერგოთ 653 ათასი ხმა, ე. ი. მთელი ხმების თითქმის 70%-დე.² ასეთივე მდგომარეობა იყო ყველა მსხვილ ქალაქებში, სადაც ჯარის ნაწილები იდგა და სადაც ბოლშევიკებმა შესძლეს გაეშალათ თავიანთი მუშაობა.

არა ნაკლები იყო ბოლშევიკების სასარგებლო განწყობილება ამ დროისთვის გლეხობაშიც. გლეხობა, როგორც ცნობილია, საკმაო პასიურად შეხვდა თებერვლის რევოლუციას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გლეხობის იმ ნაწილის აქტივობას, რომელმაც ჯარის სახით³ მიიღო დიდი მონაწილეობა თებერვლის რევოლუციაში და მის განვითარების შემდეგ ეტაპებშიც. არც რევოლუციის პირველ თვეებში იჩენდა გლეხობა დიდ აქტივობას. პირიქით, მას დიდ ხანს სჯეროდა, რომ მის საკითხს, მიწებით დაკმაყოფილების მხრივ, დროებითი მთავრობა მოაგვარებდა. მაგრამ შემდეგში გლეხობაც დარწმუნდა იმაში, რომ ბურჟუაზიული დროებით მთავრობა და მისი მიმდევარი „სოციალისტური“ პარტიები მასზე არ ზრუნავდნენ. დროებით მთავრობას თავის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში არ გადაუდგანს არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც გლეხობისათვის შეღავათების მინიჭების მიზნით ყოფილიყოს გამოწვეული. უკანასკნელ დროს გლეხობამ თვითონ დაიწყო თავის საქმის მოგვარება და მემამულეებისთვის მიწების ჩამორთმევა. მაგრამ ასეთ «თვითნებობის» წინააღმდეგ დროებითი მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობდა და გლეხებს დამსჯელ ეკზეკუციებს უგზავნიდა.⁴ კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ ხანებში ამ ნია-

¹ Рабочее движение, გვ. 294.

² М. С. Э. ტ. 6, გვ. 56.

³ Борьба за армию, გვ. 119.

⁴ იმპერიალისტურ ომში საერთოდ, როგორც აღნიშნული გვქონდა, გაწვეული იყო 15 მილიონამდე კაცი, აქედან გლეხობა შეადგენდა 95%-ს (ibid გვ. 5.)

⁵ გლეხთა მოძრაობისა და ამ მოძრაობის წინააღმდეგ დროებით მთავრობის მიერ მიღებულ ზომების შესახებ, იხ. მდიდარი მასალა „1917 год в деревне“-ში (Москва-Ленинград, 1929 г.).

დაგზე იმდენად გამწვავებული იყო ურთიერთობა მემამულეებსა და გლეხებს შორის და უკანასკნელთა უკმაყოფილება დროებით მთავრობისადმი, რომ ბოლშევიკებს სრული საფუძველი ჰქონდათ გლეხობა ერთგულ მოკავშირეთ ევარადათ მომავალ ბრძოლებში.

ამრიგად სექტემბერ-ოქტომბრისათვის ბოლშევიკების მხარეზე იყო ყველა ის ძალები, რომლებიც ამოძრავებდნენ რევოლიუციას: მუშები, ჯარისკაცები და გლეხობა. საჭირო იყო მხოლოდ ამ ძალების დარაზმვა და იმ დიდ საქმისათვის გამოყენება, რომელსაც სოციალისტური რევოლიუცია ეწოდებოდა. ეს მისია ბოლშევიკებმა ჩინებულად შეასრულეს.

ბოლშევიკებმა იმ თავითვე სწორი დიაგნოზი დაუსვეს 1917 წლის რუსეთის რევოლიუციას. მაშინ, როდესაც მენშევიკები და ესერები ამ რევოლიუციას ბურჟუაზიულ რევოლიუციად სთვლიდნენ და ამის გამო რევოლიუციის დროს მხოლოდ თვითმპყრობელობის მოსპობას ისახავდნენ მიზნად, ბოლშევიკები პირველ დღიდანვე ამბობდნენ, რომ რუსეთის რევოლიუცია სოციალისტური რევოლიუცია უნდა იყოსო. აპრილის ცნობილ «თეზისებში» ლენინი ამბობდა: „მიმდინარე მომენტის თავისებურობა რუსეთში, მდგომარეობს რევოლიუციის პირველ ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არა საკმაო შეგნებისა და დარაზმულობის გამო ძალა-უფლება ბურჟუაზიას მისცა, მის მეორე ეტაპზე გადასვლაში, რომელმაც ძალა-უფლება უნდა მისცეს პროლეტარიატსა და გლეხობის უღარიბეს ფენებს“-ო.¹ არც შემდეგში შეუცვლიათ ეს გეზი ბოლშევიკებს და ამიტომ სოციალისტურ რევოლიუციისათვის მზადება ბოლშევიკების მერ ახლა კი არ იწყებოდა—მთელი რევოლიუციის სიგრძეზე ბოლშევიკების მუშაობა სწორედ ამ მიზნისთვის ძალების დარაზმვაში გამოიხატებოდა—მაგრამ ეს საკითხი ახლა განსაკუთრებით მწვავედ იდგა იმიტომ, რომ შექმნილი პირობები სავსებით ხელსაყრელი იყო გადატრიალებისთვის. უკვე სექტემბერში ლენინი ასე ახასიათებდა მომენტს: „მაშინ (თებერვალში) იყო რევოლიუცია პროლეტარიატისა, გლეხობისა და ბურჟუაზიის ინგლის-საფრანგეთის საფინანსო კაპიტალთან კავშირში, ცარიზმის წინააღმდეგ. ახლა იზრდება რევოლიუცია პროლეტარიატისა და გლეხობის უმეტესობის, სახელდობრ უღარიბეს გლეხობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ“-ო. ხოლო ოქტომბრის პირველ რიცხვებში ლენინი კატეგორიულად აყენებდა საკითხს დროებით მთავრობის ჩამოგდებისა და პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღების შესახებ. მთელ რიგ წერილებში („Кризис настал“, „Большевики должны взять власть“, „Марксизм и востание“ და სხვ.) ლენინი ზედმიწევნით ასაბუთებდა, რომ „შეიარაღებული აჯანყება აუცილებელია და საეხებით მომწიფებულია“-ო.

ლენინის თვალსაზრისი მომენტის შესახებ, ე. ი. აჯანყების საკითხის მომწიფების შესახებ გაიზიარა პარტიის უმრავლესობამ და პარტიაც შეუდგა მზადებას აჯანყების განხორციელებისათვის. ოქტომბრის 10-ს ლენინის მიერ ეს საკითხი ოფიციალურად დასმულ იქნა (ეკას სხდომაზე, სადაც მიუხედავად მემარჯვენე ბოლშევიკების (ზინოვიევი, კამენევი) წინააღმდეგობისა, 12 ლენინის

¹ ციტატა მომყავს ს. რაბინოვიჩის წიგნის (Борьба за армию გვ. 45) მიხედვით.

² Борьба за армию, გვ. 124.



წინადადება მიღებულ იქნა სავსებით (10 ხმის უმეტესობით ორის წინააღმდეგ) და გამოტანილ იქნა რევოლუცია აჯანყების საკითხის, როგორც ცენტრალურ საკითხის, პარტიის მოქმედების დღის წესრიგში შეტანის შესახებ. ამავე სხდომაზე ცეკამ აირჩია აჯანყებისთვის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის გასაწევად საგანგებო ბიურო 7 წევრის შემადგენლობით. მომდევნო დღეებში აჯანყების შესახებ ანალოგიური რევოლუციები გამოტანილ იქნა პეტროგრადისა და მოსკოვის პარტიის კომიტეტების მიერ, ხოლო ოქტომბრის 16-ს ცეკას გაფართოებულ პლენუმზე მოწონებულ იქნა ეს რევოლუციები.¹

ამავე დროს პარალელურად დაიწყო მზადება და აჯანყების აპარატის მოწყობა სხვა ორგანიზაციებშიც. ოქტომბრის 9-ს პეტროგრადის საბჭოში ბოლშევიკურ ფრაქციის მიერ დასმულ იქნა საკითხი სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის დაარსების შესახებ. სამი დღის შემდეგ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გაიზიარა ბოლშევიკების წინადადება და გამოიტანა დადგენილება ასეთი კომიტეტის მოწყობის შესახებ. ეს დადგენილება, მიუხედავად მენშევიკების პროტესტისა, დადასტურებულ იქნა საბჭოს პლენუმის მიერ ოქტომბრის 16-ს.² იმავე დღეს სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა გამოყო აჯანყების სამეული.

პეტროგრადის სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის წაბაძვით, ასეთივე კომიტეტების მოწყობა დაიწყო სხვა რაიონებშიც. ჩრდილოეთ ოლქის საბჭოების ყრილობაზე ბოლშევიკები მოუწოდებდნენ ადგილობრივ მუშაკებს გაჰყოლოდნენ პეტროგრადის მაგალითს და მოეწყოთ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტები. პარტორგანიზაციები და რევოლუციონურად განწყობილი მასა მხურვალედ გამოეხმაურა ბოლშევიკების მოწოდებას და დაიწყო ასეთი კომიტეტების დაარსება. კომიტეტების დაარსების დროს ასახელებდნენ პირად შემადგენლობასაც იმ მიზნით, რომ პეტროგრადიდან აჯანყების შესახებ ცნობის მიღების უმალ ადგილობრივადაც შესდგომოდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. ზოგიერთ ორგანიზაციებში სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტები არსდებოდნენ და მოქმედებდნენ იწყებდნენ აჯანყების დაწყებამდე. ასე, მაგალითად მე 12-ტე არმიის სარევოლიუციო კომიტეტმა არალეგალურად მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ ოქტომბრის 15-ს, კიევში სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი არჩეულ იქნა ოქტომბრის 20-ს. სხვადასხვა ადგილას ამ ორგანიზაციებს სხვადასხვაგვარი სახელი ერქვათ, მაგრამ არსებითად მათი დანიშნულება და მიზანი ყველგან ერთი იყო.³

ასე ირაზმებოდა პროლეტარიატი ყველგან მთელს რუსეთში ბურჟუაზიისათვის გენარალურ ბრძოლის მისაცემად: ყველგან გაფაციცებული მზადება იყო. პროლეტარიატი მახვილს ამზადებდა ბურჟუაზიის გასაგმირავად.

მაგრამ არც ბურჟუაზიას ეძინა. პირველ ხანებში, ვიდრე საკითხი აჯანყების შესახებ პრაქტიკულად დაისმებოდა, ბურჟუაზია არ იჩენდა დიდ მღელვარებას; მაგრამ, როდესაც სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტები ჩამოყალიბდნენ და როდესაც პეტროგრადის კომიტეტმა „ხელისუფლების ენით დაუწყო

¹ Борьба за армию, გვ. 124.

² ibid. გვ. 125.

³ ibid. გვ. 125.

ლაპარაკი მთავრობის ორგანოებს“, მაშინ კი მიხვდენ ბურჟუაზია და მისი მთავრობა, რომ საქმე სერიოზულად იყო. სასწრაფოდ დაიწყო მთავრობის მხრით კონტრამზადება პროლეტარიატის იერიშის მოსაგერიებლად. ჯერ კიდევ ოქტომბრის 9-ს პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის მიერ გაცემულ იქნა ბრძანება ბოლშევიკურად განწყობილ ჯარის ნაწილების პეტროგრადიდან გაყვანის შესახებ. ამავე დროს პეტროგრადსა და მის მახლობლად დაბანაკებულ იქნა ჯარის ისეთი ნაწილები, რომელთაც მთავრობა ენდობოდა. ოქტომბრის 24-ს ნიდაგ გამოცლილმა დროებითმა მთავრობამ მოსალოდნელ საფრთხის შესახებ საკითხი დასვა „Предпарламент“-ში,¹ სადაც კერენსკი თავის ისტორიულ სიტყვაში მოუწოდებდა ყველას დახმარება აღმოეჩინათ დროებით მთავრობისათვის ბოლშევიკების წინააღმდეგ.² ოქტომბრის 24-სვე გამოვიდა განკარგულება ბოლშევიკურ გაზეთების: „Рабочий путь“ და „Солдат“-ის დახურვის შესახებ, ხოლო იმავე ღამეს დროებითმა მთავრობამ გამოსცა მთელი რიგი ბრძანებებისა: სამხედრო-სარეგულიაციო კომიტეტის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ, მის კომისრების გადაყენების შესახებ და სხვ.³

ამავე დროს დროებითი მთავრობა ზღაპრებით ჰკვებავდა პერიფერიებს დამფუძნებელ კრების მალე არჩევის შესახებ და ატყუილებდა ხალხს — პეტროგრადში ყველაფერი რიგზე არისო. „სამი კვირის შემდეგ ქვეყანა დაასახელებს თავის ამორჩეულებს და დროებითი მთავრობა ჩააბარებს ძალა-უფლებას მთელი ხალხის სრულუფლებიან ორგანოს... ნუ გაუწევთ ანგარიშს ყალბ ხმებს პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ. პეტროგრადში სრული სიწყნარება“-ო,⁴ სწერდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკიტინი ტფილისის გუბერნიის კომისარს სწორედ ოქტომბრის გადატრიალების წინაღობით, როდესაც დროებითი მთავრობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ასეთ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით და დამფუძნებელი კრების შესახებ ლაპარაკის ჩამოგდებით, დროებითი მთავრობას უნდოდა მშვიდობიანობა და სიწყნარე დაეცვა რუსეთის პერიფერიებში მაინც, სადაც მისი აზრით, თუ პეტროგრადის ამბავს ვერ გაიგებდენ, არ შეიძლება აჯანყება მომხდარიყო. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა გენ. დუხონინის 25 ოქტომბრის დეპეშას, სადაც ძალაუფლების უკვე ბოლშევიკების ხელში გადასვლა, თუმცა დაფარული არ იყო, მაგრამ ეს ამბავი ისე იყო გადმოცემული, რომ შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კიდევ შესაძლებელი ყოფილიყოს საქმის მოტრიალება და ბოლშევიკების დამარცხება. „გუშინ, ოქტომბრის 24-ს მინისტრი-თავმჯდომარემ მიმართა რესპუბლიკის საბჭოს თხოვნით მხარი დაეჭირა დროებითი მთავრობისათვის ბოლშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მისაღებად... მინისტრი-თავმჯდომარის მოწოდებას მიემხრო რესპუბლიკის

¹ „Предпарламент“-ი დაარსდა სექტემბერში, გაიხსნა ოქტომბრის 7-ს. იგი შესდგებოდა ბურჟუაზიული ელემენტებისაგან. ბოლშევიკები „Предпарламент“-იდან გავიდნ პირველ სხდომაზედვე, სადაც განაცხადეს, რომ მათ ხალხის მოღალატე მთავრობასთან არაფერი აქვთ საერთო (M. C. შ. ტ. 6).

² *ibid.* გვ. 59.

³ *ibid.*

⁴ საბუთი № 146.



საბჭოს დიდი უმრავლესობა... არმიის საერთო კომიტეტმაც სტავკასთან ლამის სხდომაზე გამოიტანა ბოლშევიკების გასაკიცხი რეზოლიუცია და დროებითი მთავრობას მხარი დაუჭირა—“ო, ვკითხულობთ ამ დეპეშაში. ¹ თითქოს ისე გამოდიოდა, რომ დროებით მთავრობას მრავალი მომხრეები ჰყავდა და საქმე ჯერ კიდევ სათუო იყო!

ასეთი ყალბი ცნობები ბევრი იგზავნებოდა იმ დღეებში დროებითი მთავრობისა და მის აგენტების მიერ იმ მიზნით, რომ ხალხს არ გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება და მით პროლეტარიატის იერიშის მთლიანობა დარღვეულიყო. ² მაგრამ ვერც ტყუილებმა და ვერც თავგანწირულმა მზადებამ კონტრრევოლუციის საქმეს ვერ უშველა. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ძალების შემოკრეფა: არავის უნდოდა მისთვის თავის განწირვა. სამმა ყაზახ-რუსთა პოლკმაც კი, რომელზედაც დროებითი მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა, უარი განაცხადა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლაზე. ფრონტიდან გამოწვეული ნაწილებიც არ მოვიდნენ მის მისაშველებლად. მოხერხდა მხოლოდ მცირე რიცხოვანი რაზმების (ქალთა ბატალიონის, ინვალიდების რაზმის, იუნკრების რაზმის და სხვ.) შედგენა, მაგრამ რადგან ასეთი ძალებით იერიშზე გადასვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ დროებით მთავრობამ ზამთრის სასახლეში ჩაიკეტა თავი და გარშემო მცველებად იუნკრები დაიყენა.

ჯარების უმეტესი ნაწილი კი ან აშკარად აჯანყებულებს მიემხრო ანდა პასივობას იჩენდა, ყოველ შემთხვევაში დროებითი მთავრობის დაცვაზე უარს ამბობდა. ჯერ კიდევ ოქტომბრის 23-ს სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის მხარეზე გადავიდა პეტრო-პავლოვის ციხის გარნიზონი მთელი არსენალით. ამით სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტს საშუალება მიეცა შეეიარაღებია წითელი გვარდია და აჯანყებულთა მხარეზე გადასული გარნიზონის ნაწილები. ოქტომბრის 24-ს სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა თავისი ძალების ერთი ნაწილი სმოლნის ინსტიტუტისაკენ დაძრა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. აჯანყებულთათვის მისაშველებლად სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის მიერ გამოწვეულ იქნა ჰელსინგფორსიდან მატროსები. პეტროგრადის მიდამოებში დაბანაკებულ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის მომხრე გარნიზონებს განკარგულება მიეცათ დროებითი მთავრობის დასახმარებლათ ფრონტიდან დაძრული ჯარის ნაწილები არ გამოეშვათ. ამავე დროს მათ შესახვედრად გაგზავნილი იქნა ავიტატორები, რომელთაც მოტყუებულ ჯარის ნაწილებისთვის საქმის ნამდვილი ვითარება უნდა აეხსნათ და აჯანყებულთა მხარეზე უნდა გადმოეყვანათ. შეტევა დაიწყო.

იმავე ღამეს აჯანყებულებმა დაიკავეს რკინის გზის სადგურები და ხიდები, ხოლო დილის 7 საათისათვის—მთავარი ტელეფონის სადგური. „ბოლშევიკები გადავიდნენ აქტიურ მოქმედებაზე, მათ დაიკავეს ნიკოლოზის ხიდი, იქ დაყენებულა ჯავშნიანი მატარებელი... დაპატიმრებულია მინისტრი კარტაშვილი და დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველი გალპერინი. ბალტიის რკინის გზის სად-

¹ საბუთი № 148.

² იხ. მაგალითად, საბუთები № 149, 150, 151, 159, 164, 165 და სხვ.

გურიც ბოლშევიკების ხელშია... დეპეშით აცნობებდა პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი შერი ჯარების სარდლებს ოქტომბრის 25-ს. ¹ იმავე დღეს პეტროგრადს მიუახლოვდა, სამხედრო-სარეგოლიუციო კომიტეტისთვის დახმარების აღმოსაჩენად, კრესერი „ავრორა“. აჯანყებულებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკი და მარინეს სასახლე. საღამოს სამხედრო-სარეგოლიუციო კომიტეტის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მთავარ შტაბსა და ზამთრის სასახლეს, სადაც როგორც ვთქვით, დროებითი მთავრობა იყო ჩაკეტილი. ² საღამოს 7 საათზე სამხედრო-სარეგოლიუციო კომიტეტმა აიღო სამხედრო შტაბი, ხოლო ცხრის ნახევარზე დროებით მთავრობას ულტიმატუმი გადასცა დანებების შესახებ. იუნკრებთან მკირე შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა ზამთრის სასახლე აიღეს. დროებითი მთავრობა დაეცა—იგი დაპატიმრებული პეტრო-პავლოვის ციხეში გაიგზავნა. დაპატიმრებას გადაურჩა მხოლოდ კერენსკი, რომელიც ჯერ კიდევ 25-ს დილით გაემგზავრა ავტომობილით ფრონტზე ჯარების მოსაყვანად. ³

ოქტომბრის 25-ს დილას 10 საათზე სამხედრო სარეგოლიუციო კომიტეტმა საგანგებო მოწოდებით „რუსეთის მოქალაქეებისადმი“ აუწყა ქვეყანას, რომ დროებითი მთავრობა დაემხო და პროლეტარიატმა გაიმარჯვა. ⁴ „დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია... საქმე, რომლისთვისაც ხალხი იბრძოდა—დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება, მემამულეთა საკუთრების გაუქმება მიწაზე, მუშათა კონტროლი წარმოებაზე, საბჭოთა მთავრობის შედგენა—ეს საქმე უზრუნველყოფილია“-ო სწერდა ლენინი ამ მოწოდებაში. ⁵

მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო. პროლეტარიატმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა თავის კლასიურ მტერს—ბურჟუაზიას. შვიდი თვის ბრძოლის შემდეგ მუშათა კლასმა, მოთმინებიდან გამოსულმა, ერთის დაკვრით მოსპო დროებითი მთავრობა, რომელიც ფარად იყო აღმართული პროლეტარიატის მახვილსა და ბურჟუაზიას შორის. პროლეტარიატმა თვით აიღო ქვეყნის საქმე, რომელიც მას ისტორიულად ეკუთვნოდა თვითმპყრობელობის ჩამოგდების შემდეგ.

ოქტომბრის რევოლიუცია და პროლეტარიატის გამარჯვება ლოგიკური შედეგი იყო 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის განვითარებისა. ასეთი შედეგი მოულოდნელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმათთვის, ვისაც არ ჰქონდა სათანადოდ გათვალისწინებული რუსეთის სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე და ამ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა განწყობილება. ასეთებისათვის 1917 წლის რევოლიუცია უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული რევოლიუცია და მას შედეგად, მაშასადამე, ბურჟუაზიის დიქტატურის დამკვიდრება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ იმათთვის, ვისაც კარგად ესმოდა, რომ 1917 წლის რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი პროლეტარიატი იყო, ის პროლეტარიატი, რომელიც ბუნებრივად ბურჟუაზიული ხელისუფლების მოსპობისაკენ მიისწრაფოდა, და ვისაც ჯეროვანად შეგნებული ჰქონდა, რომ მსრფელი ომით გამოწვეულ ეკო-

¹ საბუთი № 147.

² საბუთი № 159.

³ M. C. შ. ტ. 6, გვ. 60.

⁴ ეს მოწოდება შეადგინა ლენინმა.

⁵ M. C. შ. ტ. 6, გვ. 60.



ნომიურ კრიზისიდან და მეურნეობის დაშლიდან ერთად-ერთი გამოსავალი გზა სოციალიზმისაკენ უშუალო ნაბიჯების გადადგმა იყო, —მისთვის იმთავითვე ცხადი და ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ 1917 წლის რევოლუცია მუშათა კლასის გამარჯვებით და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებით უნდა დასრულებულიყო.

მაგრამ ბურჟუაზიას ასე არ ესმოდა ისტორიული აუცილებლობის კანონები: მას თავისი საკუთარი კლასიური ინტერესები ჰქონდა და ამ ინტერესებისათვის თავგამოდებით იბრძოდა. პეტროგრადში დამარცხებისა და ძალა-უფლების დაკარგვის შემდეგ ბურჟუაზიამ დაიწყო ძალების დარაზმვა სხვა ადგილებში. მას უნდოდა ეს ძალები დაეძრა. რევოლუციონურ პეტროგრადისაკენ და იქ კვლავ აღედგინა თავისი უფლება. ბურჟუაზიამ ერთხელ კიდევ აამოძრავა ოქტომბრის მუშათა იერიშებით უკვე დაზიანებული თავისი აპარატი და მოუხმო ყველა ჯურის კონტრრევოლუციონურ ძალებს დაეხსნათ „სამშობლო“ ბოლშევიკურ „ანარქიისაგან“. „ძალა-უფლების ხელში ჩაგდება სამი კვირით ადრე დამფუძნებელ კრების მოწვევამდე—ეს არის მთელი ხალხის ძალა-უფლების ჩაგდება. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაიწყო საქმათაშორისი ომი... პეტროგრადის საბჭო ჰპირდება ხალხს ზავსა, პურსა და მიწას. ეს სიცრუეა. გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოგიწოდებთ არ ენდოთ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მის მიერ დაყენებულ ორგანოებს“... სწერდა დეპეშით ოქტომბრის ვადატრიალების იმავე დღეს გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ბურჟუაზიის ხელში იყო ამდროს მოქცეული.¹

„პეტროგრადში შესდგა რევოლუციისა და სამშობლოს თავდაცვის კომიტეტი... თავდაცვის კომიტეტი... მოუწოდებს ყველა საზოგადოებრივ ძალებს დროებითი მთავრობის აღდგენისაკენ“, სწერდა ბურჟუაზიის მიერ მენშევიკებთან და ესერებთან ერთად შედგენილი „სამშობლოს დაცვის კომიტეტი“ აგრეთვე იმავე დღეს.²

ბურჟუაზიას სრული იმედი ჰქონდა, რომ მის მოწოდებას გამოეხმაურებოდნენ გენერლები და კონტრრევოლუციონური ოფიცრები. ეს იმედი, თავისდათავად ცხადია, არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან ვის უნდა გამოედო თავი ბურჟუაზიისათვის, თუ არა საზოგადოების იმ ფენებს, ვის წინააღმდეგაც მიმართული იყო მუშათა კლასის გულისწყრომა. კონტრრევოლუციონურმა სარდლობამ, მართლაც, არ დააყოვნა თავისი აზრის გამოთქმა, რომ ის მზათ იყო ბურჟუაზიის დასაცავად ხმალი აეღო და დროებითი მთავრობის ჩამოგდების შესახებ ამბავის გავების უმალ პროლეტარიატის წინააღმდეგ აშკარად იარაღი ააჟღარუნა.

კონტრრევოლუციის სათავეში ოქტომბრის 25-ს პეტროგრადიდან გაპარული კერენსკი ჩაუდგა. „ბოლშევიკების სიგჟით გამოწვეული არეულობა აყენებს ჩვენს სახელმწიფოს დაღუპვის საზღვართან და მოითხოვს მთელი ნებისყოფის დაჭიმვას, თვითულის მიერ თავის მოვალეობის შესრულებას შექმნილ მდგომარეობაში“.

¹ საბუთი № 149.

² საბუთი № 152.

როებიდან სამშობლოს გამოსაყვანად... ვუბრძანებ ყველა უფროსებს და კომისრებს სამშობლოს ხსნის გულსათვის შეინარჩუნონ თავიანთი პოსტები, ისევე როგორც მე უზენაეს მთავარსარდლის პოსტს ვინარჩუნებ“-ო, მოუწოდებდა კერენსკი ჯარს¹. „უზენაეს მთავარსარდლის“ მოწოდებას გამოეხმაურა კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალი გენ. პრევეალსკი. „კავკასიის ფრონტის ყველა ნაწილები ღრმად აღშფოთებული არიან იმათ წინააღმდეგ, ვინც უშუალოდ მომენტში ხმალი აიღო ღონემიხდილ სამშობლოსა და რევოლიუციის წინააღმდეგ. მთელი ფრონტი მხოლოდ უცდის ბრძანებას, რომ მხარა დაუჭიროს დროებითი მთავრობას“, ანუ გეგმებდა გენ. პრევეალსკი კერენსკის². „ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ... უკანასკნელ საზღვრამდე ვიბრძოლებთ დროებითი მთავრობის აღსადგენად“, ჩქარობდა თავისი აზრი გამოეთქვა გენ. დუხოინი³. ამათ არ ჩამორჩენ სხვა გენერლებიც: ყუბანის ყაზახ-რუსთა ჯარების ატამანი ფილიმონოვი, გენერალი ლევანდოვსკი, გენ. ვირუბოვი და სხვები ასეთივე განცხადებით მიმართავენ უკვე არ არსებულ დროებითი მთავრობას და მის „თავმჯდომარეს“ კერენსკის, რომელსაც ამ დროისთვის გენ. კოანოვის ყაზახ-რუსთა რაზმისათვის თავი მოეყარა და პეტროგრადისკენ დაედრა. სწორედ ისევე, როგორც კორნილოვის ამბოხების დროს კონტრრევოლიუციონური სარდლობა კორნილოვს მიემხრო და რევოლიუციის მოპირდაპირე ბანაკში მოექცა,⁴ ახლაც, დროებითი მთავრობის ჩამოგდების დროს, იგივე კონტრრევოლიუციონური სარდლობა, როგორც ერთი კაცი, დროებითი მთავრობის მხარეზე⁵ დადგა და პროლეტარიატის წინააღმდეგ ხმალი აიღო.

მაგრამ ძლევა მოსილ პროლეტარიატისთვის ახლა უკვე აღარ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს სასიკვდილოდ დაქრილ გველაშაპის—ბურჟუაზიის და მის მოკავშირე თუ დამცველ სარდლობის კონტრრევოლიუციონური მისწრაფებები. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა შესძლო სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდება და ცენტრში თავის ორგანიზაციების შექმნა, პროლეტარიატის ხელისუფლებას⁶ შედარებით ადვილად შეეძლო უკუეგდო დამარცხებულ ბურჟუაზიის იერიშები და სამუდამოდ აღმოეფხვრა ასეთი იერიშების გამეორებას შესაძლებლობაც. ახლა პროლეტარიატი თავისი ორგანიზაციითა და შეგნებით იმდენად ძლიერ ძალას წარმოადგენდა, რომ შიში ბურჟუაზიის მიერ მის დამარცხებისა და კვლავ კონტრრევოლიუციის აღდგენისა უსაფუძვლოდ უნდა ჩათვლილიყო.

შემდეგში მუშათა კლასმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მართლაც დაამტკიცა ასეთი შიშის უსაფუძვლობა და შესძლო თავის ჰეგემონიის განმტკიცება. მაგრამ, ვიდრე მუშათა კლასი თავის ჰეგემონიას უზრუნველყოფ-

¹ საბუთი № 154.

² საბუთი № 154.

³ საბუთი № 159.

⁴ იხ. ზევით.

⁵ „მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა“ არჩეულ იქნა დროებითი მთავრობის ჩამოგდების იმავე დღეს, ე. ი. 25/X საბჭოების მეორე ყრილობაზე. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ლიდერი და ოქტომბრის გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი—ვ. ლ ე ნ ი ნ ი.



და და აღმშენებლობისათვის ნორმალურ პირობებს შექმნიდა, მას დასჭირდა გადალახვა მთელ რიგ დაბრკოლებებისა, რომელთაც ოქტომბრის ამბების შემდეგ მას შინაური და გარეული კონტრრევოლუცია უწყობდა. პროლეტარიატს დასჭირდა არა ერთი და ორი ომის გადახდა იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი დაეცვა და თავისი კლასიური მტრის—ბურჟუაზიის უფლებების რესტავრაციის შესაძლებლობა აღმოეფხვრა. უპირველესად ყოვლისა მუშათა კლასს დასჭირდა იმ კონტრრევოლუციის აღმოფხვრა, რომელიც უშუალოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კერენსკის მეთაურობით და სარდლობის ხელმძღვანელობით რევოლუციის საფრთხედ აღიზაოთა. ეს იყო ოქტომბრის 26-ს დაწყებული კერენსკის (გენ. კრასნოვის რაზმით) შემოტევა პეტროგრადისაკენ, ოქტომბრის 29-ს პეტროგრადში მოწყობილი იუნკრების აჯანყება და იმავე დღეებში მოსკოვში მუშების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დროს ბურჟუაზიის მიერ გაწეული წინააღმდეგობა. ყველა ეს ცდები ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციისა სასტიკი მარცხით დამთავრდა იმათთვის, ვინც ისტორიით განწირული იყო საამისოდ: კერენსკის შემოტევა გათავდა გენ. კრასნოვის ჯარის განადგურებით და კერენსკის გაქცევით¹, იუნკრების აჯანყება ჩაქრობილ იქნა იმავე დღეს, ხოლო მოსკოვში ბურჟუაზიის მიერ გაწეულმა წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა პროლეტარიატის ძლევა-მოსილება და უმნიშვნელო ბარიკადულ ბრძოლის შემდეგ მთელი მოსკოვი საბჭოთა ხელისუფლების წითელ დროშის ქვეშ დაირაზმა.

გამარჯვებულმა პროლეტარიატმა სიფხიზლესთან ერთად ზედმეტი სულგრძელობა და ლმობიერობა გამოიჩინა. უშუალოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ აღმოცენებულ კონტრრევოლუციის ლაკვიდაციის დროს, მან ჯეროვანის სისასტიკით არ აღმოფხვრა კონტრრევოლუციის ნაშთები და მით სსშუალემა მისცა ბურჟუაზიას თავისი ცდები ხელისუფლების ჩაგდებისათვის კვლავ გაემეორებია. როგორც ვთქვით, ბურჟუაზიამ ამის შემდეგაც არა ერთი და ორი აჯანყება მოუწყო საბჭოთა ხელისუფლებას და არ დაწყნარდა მანამდე, სანამ მან არ ჰპოვა ღირსეული მსჯავრი მუშათა კლასისა. გენ. დენიკინი, გენ. ვრანგელი, გენ. ალექსეევი, ადმირალი კოლჩაკი და სხვები—აი კონტრრევოლუციის იმ მთავარ გმირთა სახელები, რომლებმაც ოქტომბრის შემდეგ 1918, 1919 და 1920 წლებში ხმალი აიღეს მუშათა კლასის წინააღმდეგ და რუსეთში სამოქალაქო ომის საშინელება დაატრიალეს.

ამ ამბების აღწერა ჩვენი მიმოხილვის ქრონოლოგიურ მიჯნებს სცილდება და ამიტომ მათ ჩვენ არ შევხებით. მაგრამ ბურჟუაზიის ამ კონტრრევოლუციონურ ცდების შედეგები ისედაც გასაგებია: საბჭოთა ხელისუფლების არსებობა დღეს დედამიწის ერთ მეექვსედზე, სადაც არაჩვეულებრივი ტემპით სოციალისტური აღმშენებლობა მიმდინარეობს, თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ბედი ეწვია ბურჟუაზიას და ყოველგვარ კონტრრევოლუციას.

¹ იხ. საბუთი № 170.

თებერვლის რევოლუცია.

Февральская революция.

1 1917 წ. იანვარი. კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-საცენზურო კომიტეის გატარებულ წერილებიდან ამოღებული აღვნიშავი.

1917 г. январь. Выборки из писем, прошедших через военнo-цензорские пункты Кавказского военного округа.

Балаханы, Никиты Тимоф. Степанова.—Г. Тифлис, 9-й полицейск. резерв, Василию Тимоф. Степанову. „Катастрофа идет здесь. Бастуем уже 3 дня, к работе не известно когда приступим. Забастовка началась с 17 января. Опишу вам из за чего: из за того что было собрание в Сабунчах секретное, обсуждали наши товарищи нужду по поводу дороговизны и так далее, чтобы нашим нуждам помочь. Вот их и забрали в тюрьму. Ну у нас у каждого в груди наболело, что такое делают с нами? Сколько крови пролилось и все проливается и к чему подводят? Нам теперь не нужно спать, а то для нас стена крепкая подходит, тогда уже нам не прорвать. Ну и другое описал-бы. Ну нас не страшит это. Полиция и казаки присутствуют с нами, только и гляди нагайки,—ну сам знаешь“. (Задержано в. ц. № 207) 1655.

Петроград.—Тифлис, Ананурский 7. Ольге Вячеславовне Спандарян. „Единственно, что по моему заслуживает внимание,—это настроение в рабочей среде. 9 января в Питере бастовало до 300.000, в Москве от 30 до 50 проц., была манифестация. В настоящее время стачечное движение идет по всей стране. Настроение нарастает и во всех слоях и сферах, хоть не выражается какими-либо конкретными шагами, если не считать тех резолюций, которые были вынесены разогнанными с'ездами, бывшими в Москве в начале декабря“. (Задержано в. ц. № 149) 1655.



Москва.—Тифлис, Больница Арамянца, главная контора, Антонине Ивановне Доманской. „Да знаете ли, что делается сейчас в Москве? Ведь положительно, кому есть возможность, бегут оттуда. Провианта совсем нет. Хвосты заполняют целые улицы, чтоб получить $\frac{1}{2}$ фунта сухек; бывают дни, когда хлеба совсем нет. Матушка Михаила рассказывает, что даже в их монастырь не дают муки. 12 января из последней спекли хлеб, и больше ничего нет. Кто из сестер засушил себе сухарей, тому хорошо, что будет дальше, не знают. Все это ничего, но ведь там все время бунты без конца. Только умиряют, смотришь, опять поднялся новый еще страшней, а в день Татьяны что было, даже страшно вспомнить. Мы, сидя в Богословском, дрожим“. (Задержано в. ц. № 212) 1659.


Москва.—Саракамыш, лесной отдел земгор, студенту Москов. универ. Якову Сергеевичу Вульф. „Как странно слагается наша русская действительность. Какие преподносятся сюрпризы: Протопопов, закрытие Московских съездов земского и городского союзов, „возжигатель дворцовых лампад“, „лицо“, перетасовки в Совете министров, отсрочка сессии Государственной Думы. Последний месяц был особенно тревожен. Я отвозил в конце декабря м. брата в артиллер. Константиновское училище. Остановились мы в гостинице на Гороховой, там, где особняк „лица“ — громадный дом некрасивой архитектуры. Я застал в Петрограде свежее впечатление „отставки“ „лица“. Все радовались и поздравляли друг друга, и не смотря на отрезвление России, напились порядочно. В результате 3 содержателя громадных ресторанов были арестованы. Вы знаете, что долгий путь на родину в Покровское „лицу“ не пришлось совершить, что ему избрали „местожительством“ Царское Село, что сопровождали его 6 архиереев, что над ним будут строить церковь так, чтобы алтарь пришелся над „местом“. Все это в воздаяние великих заслуг перед Россией. Это была весна. Но когда узнали, что кн. Голицын берет бразды, что Игнатьев уступает место Кульчицкому, что дух Кассо воцаряется над землею, всех охватило уныние. Ясно было, что отставка Трепова не принесет ничего лучшего. После назначения Г. никто не сомневался, что Гос. Дума не будет созвана, и новый премьер дал торжественное обещание, чтобы его не сдержат. А приехав в Москву, я увидел, что политика Протопопова в деле улажения продовольственного кризиса значительно подвигается вперед, так что 12 января в Татьянин день в Москве тре-



ბოვალ ხლბ. ტაყანი დნ ჟრლ რრრრ-სპოკონო, ვ უნი-
ვრსიტეტე ბლ აკტ. ლოპატი ჟრრრრ რეჩე ნა ტემა „ნეოტლოჟ-
ნია ჳადაჩი სოვრენიოი მიალი“. მნე ბლო გრუტნი რადოტნი.
რადოტნი ჟოტომა, ჳო ი უვიდელ ჟერეროჟდენი სტარიკა. ჳოლოკი,
კოტორი ვსო ჳიზნი ტრუდილსა ნად ვარაბოტკოი მიროსოზერცანი,
კოტორი, ესლი ბი ნე სლუჩილსა ვოინა, უმერ, უვრენიი ვ ტომა,
ჳო ნაშელ ისტინუ, კოტორი უშელ ბი უსპოკოენიი ვ რრრრრ
სომნიანი, დოჟენ ბლ ჟრრრრ, ჳო ევოლუციონიზმ ჟოტერპელ
უჳასნეიშიი კრაჟ, ჳო ნუჳიო ვსე ჟერეოცენი, ნაჩაყ რაბოტუ
სნაჩალა. როდ ჳოლოკეშიი ნე დობრესე ი ნუჳიო ჳაბყ რეჩე
ო ვრადუშემ რაე ჳემნომ. „ჳიზნი რსტარესე ტაკია ჳე ტრუდნია,
ჟოლნია ტრუდა ი სტრადანიი“. ლოპატი გოვორილ, ჳო ვ ბლიჳაი-
შიე ვრემა დოჟნიო ნასტუჟიყ ისკანიე ნოვიი იდეალოვ დეაყლ-
ნოტნი დია ჟრრრრრ როტოვრეჩიი ჳიზნი“. (ოტრარვლენო ვ ი.
№ 180) 1662.

სუჳუმ, მარიინსკია ულ. დ. მავროჟოლო, ოტ ვლადიმირა მიჳაი-
ლოვიჩა იკოვლევა,—ტიფლის. ოლგინსკია ულ. № 46, მაქსი-
მი ნიკიფოროვიჳუ აქსენოვუ. „დაი-ტო ბოგ, ჳოტობი ვოინა სკორესე
კონჩილსა: ჳო-ტო ტაკოე უჳასნოე ტვორილსა. ჟოგოლოვნიი გრად-
ბეჳი უჩინიაყ ტოგოვოცი, ჳელესნოდოროჳიკი ი ჳინოვნიკი. ნო მოჳი-
ლი გოვორიყ ო ჟოლოცი ვოინე, ო ჟოლოცი სოლდატამ, კოგდა ჳა-
სტნომუ ჳოლოკე, დეიყვრენიო ჳელაოშემუ ჟრრრრ რაკოიო ლი-
ბო ჟოლზუ ვოინე ი ვოენნიმ, ველაყ მოლჩაყ, ნე რაზგო-
ვარივარე ი ្ოჩეე. ჟრრრრრ, ჳაბოტიაჳიყ ობ უსტა-
ნოვლენიი მინიმალიო ჟორდიაკა ვ ტოგოვლე, ვ ჳელესნოდო-
როჳნომ სოობშენიი ი ្ოჩ., რაზნოსაყ ი ნე დაოყ ვოზმოჳიო-
სი ობესუჳადაყ ჟოლოციე დელ. ა ეტიმ ჟოლოციემ ჟოლზოყსა გრად-
ბიტელი ი გრადბე ჳეზოაშადნო“. (ოტრარვლენო, ვ. ი. № 289) 1664.


დეიყვ. არმია —ტიფლის, გუნიბსკია 11, ნადეჳე კიჳრი-
ანოვნე ჳასროევიი. „ვსე ობრუშილესე ია გოლოვა კაკ ტო სრაჳა—
ი ბესპრერყვნიე ბოი ს ტიაჳელნიმ ნოჩნიმ ჟერეოჳადამ, ნეპრ-
იაყნიე ჟიესმა ოტ მამა ი, სამოე უჳასნოე, ჟროტოპოვსკიი კაბი-
ნეტ—ვოტ სობყტიე, კოტორე სპოსობნი უბიყ ვსაკოი ოხოტუ კ რა-
ბოტე ი სდელაყ დაჳე სამოგო ჟილკოგო ჟატრიოტა ვოინი სესიმი-
სტომ, ბეზნადეჳნიმ სესიმისტომ. სობყტიი ვ ჟეტროგრადე ი ნე
ჟონიამო, ილი ონი ვსე ნეგოდიია, კოტორიმ მესო ვ კატორგე, ილი ჳე
ეტი ჳოდი, უ კოტორიხ ნეტ ნიეჳოე ვ გოლოვე, ი ტოგდა კ იმ ჟრ-
რრრ რეჩე: „ბოჳე, ჟრრრრ იმ, იბო ნე ვედაოყ, ჳო ტვორიაყ“. ჳაკია
მასა როტოვრეჩიი. გოსუდარე ვ ჟრრრრ რე ოტრარვლენო ოტ არმია ი
ფლოტუ ჟრრრრ რე ბორბე დო კონჩა, ი ოდნოვრენიო ოტლევანი
ჳიი ჟროტოპოვ, იანიი სტორონიკ სეპარატნოგო მირა, უტვრეჳადა-



ეტყა მინისტრომ ვნუტრენიხ დელ, ი ემუ ჟუტ ნე პორუჟაუტ სფორმიროვანუ კაბინეტ. ვ თო ვრემა კაკ ვო ფრანციი, ანგლიი ი იტალიი სფორმიროვანუ ობ'ედიენენი კაბინეტუ ლიბერალნო-პატრიოტიკესიე, უ ნას კაბინეტუ სოსთავიანუ ილი იზ პროხოდიმ-ცევ, ილი იზ ლიცი, კოტორუმ სჩასტუე ი ჟესტ როდინუ ტაკჟე დოროგი, კაკ მნე ჟიჟნუ აბესსინსკოგო კოროლუ. გოსუდარუ ბლადარიტ დუ-მუ ი სოვეტ ჳა პომოჟუ არმიი ი პლოდოტვორნუო რაბოტუ, ა პრო-ტოპოპოვ ტრებუეტ ჳაკრუტუ ჳაკონოდატელნიე უჟრედენიე. მინი-სტრუ ვოენნიი ი მორსკოი ბლადარუტ ჳემსკიი ი გოროდსკოი სო-იუზუ ოტ იმენი არმიი ი ფლოტა, ა პროტოპოპოვ ჳაკრუვანეტ იხ. ვსე ჟოტუ ვიდეტუ სოზოვნო მინისტრომ, ა ნაზნაჳაუტ დობრო-ვოლსკოგო. ი ნე მოგუ პისატუ ობო ვსემ ეტომ სპოკოიწო, ნუჟნო პერეჟივუ ვსე უჟასუ ვოიწუ ჳდესუ ნა ფრონტე, ნუჟნო ვიდეტუ ვსე ეტი ნესჩასტნიე ჳერტვუ, ჳნატუ ნასტროენიე ვსეგო ვოიწკა, ჳოტოვი პონაჳუ, კაკაი ოგრომნიე პროპასტ რასტეტ მეჟდუ ნამი ი ტილომ. მი ჟოტიმ ვოიწუ, ა ტამ ჟოტუ მირა, მი ჳაჟდაემ პოვედუ, ა ტამ ჟოტუ პორაჳენიე, მი ჟოტიმ ჳესტნიხ ლუდეი, ა ნამ დანუტ შტურ-მეროვ, კურლოვოხ, მონასევიჳეი. ოტკუდა ჳე უ მენა მოჟეტ ბუტ ჟოროშე ნასტროსნიე? ედინსტვენნიმ უტეშენიემ დლუ მენა ივლუ-ეტუა ლიშუ თო, ჳო ი ეშე ნე ვ ტილუ, ა ნა ფრონტე". (ოტპრავლენო ვ. ც. № 149) 1666.

პეტროგრად.—ტიფლის, კავკასკ. დეიწვ. არმიე, ბატუმსკაი გორნიე ბატარეე, არკად. მიჳაილ. პრეპორშ. დემენტესუ. „პი-სატუ ო თომ, ჳო დელაეტუა უ ნას, თუ სემ პონიმაეშუ—ნეუდობნო. იზ გავეტ ჳნაეშუ ვსე სუშესტვენნიე დო ნაზნაჳენიე მოეგო ნეპო-სრედესტვენნიე პრინციპალა, პრი კოტორომ ი სოესოიუ ჳინოვნიკომ ოსობოხ პორუჳენიი, ვო გლავე პრავიტელსტვა. სკაჳუ თოლკო, ოდ-ნო, ჳო ესე ნე ვსე, თო ვო ვსეკომ სლუჳაე ვსე თე, უ კოგო ვ გრუ-დი ბუეტუ რუსეკოე სერდცე, ოტლიჳო სოზნაუტ, ჳო „პეტერბურგ-სკიი“ პერიოდ რუსეკოი ისტორიი კონჳილს, ნიკაკიე სილუ ნე მო-გუტ პოვერნუტუ ნა სტაროე. შუტკა სკაჳატუ: 200 ლეტ მი ბილუ პოდ იგომ ნემცევ. ნო დუჳა ნაროდნო ეტო ნე ვიტრავილო. ვ კაჳესტ-ვე ისტორიკა, კოტოროგო უჟე 35 ლეტ გვოძიატ ნესკოლკო ვოპროსოვ ნაშეი ისტორიი, მნოგო ი მნოგო უჟე პერეჟივანოჳეგო, ი სოვერ-შენნო სპოკოიწო სმორუ ნა ბუდუშეე. ბოლესნუ ვხოდიტ პუდამი, ა ვოხოდიტ ფუნტამი. ი ნეტ სომნენიე,—მნოგოე ი მნოგოე ჳე პრი-დეტუ ნამ პერეჟივუ ი პოსლე ვოიწუ (ვ პოვედნომ კონცე კოტორიი ნე მოჟეტ ბუტ ნიკაკოგო სომნენიე), პოკა მი ოკონჳატელნიო ოჩისტიმსუ ოტ ნემედკოი პოგანი". (ოტპრავლენო ვ. ც. № 262) 1667.

მოსკვა.—ტიფლის, ველიკოკნუჳესკაი 40, კვ. 4, სევერიანუ სევასტუიანოვიჳუ კლიმუკუ. „ი რაჳოჳაროვალსუ ვ სოვიხ უპოვანიეხ.



Я шел в миссионерство, желая поработать „церкви, царю и отчеству“, но теперь я убедился, что если хочешь поработать отчеству, то стать в ряд Милюкова—мало, нужно класть бомбу в карман и целоваться с . . . Молрхидзе или другим опекаемым тобою „человеком“. Служить так, как я служил доселе, это не значит служить церкви, самодержцу и отчеству, а замазывать, закрывать ту грязь и вонь, которую напустил в несчастной России, „Распутин“. Не Гришка, не тот *złoni* (труп), которого нашли у Петровского моста, а тот коллективный Распутин, который воссел на месте святе, заставлявший чтить это, „как древне русские, исторические, свято-православные устои“. Но в нынешнее время русское общество не то, что было в 1905 г., и если тогда Распутин нашел поддержку в некоторых классах общества, да и войска были на его стороне, когда положение его трещало, то теперь этой поддержки он не найдет. Марков 2 да Протопопов слишком ничтожные личности, чтобы Распутин устоял в этом стихийном порыве против него народной ненависти и мести. И теперь надеваешь стихарь, выходишь к народу и взываешь о святыне, согласи, что очень тяжко. Святыня эта попрана самими служащими ей. Их сначала нужно изничтожить. Теперь вполне уместно можно было бы сказать и церкви и русскому народу: избави меня боже от друзей (официальных моих представителей), а от врагов я и сам избавлюсь. Вот при каком душевном настроении мне приходится занимать свое многоречивое положение. Порой мне кажется, что там в Петрограде уже давно ждут потопа и смеются над нами, думающими об укреплении веры и основ. Там хохочут, гогочут, шабаш бисовский правят, и даже не хотят слышать гула приближающейся грозы. А гроза идет и всю эту гогочущую толпу сметет, пожалуй, почище, чем было 100 с хвостиком лет тому назад“. (Задержано в. п. № 257) 1668.

Мирополье М. И. Л.—Кавказск. Армия 297 зап. пех. 1 р. Ив. Алекс. Луценко. 14 Января 1917 года. „Ваня, покудова вы там будете дурака строить, чего Вы до сих пор воюете, чего Вам какая лакоминка воевать, какие Вы солдаты, полно Вам биться, полно Вам людей брать, ох, ох бедные седняшки солдатики страдать на войне, ох, война, война, когда мыждемся, чтобы она кончилась, чтобы люди света повидели, лучинку из того света по приходили, у Вас свет, так радовался детки, жены до мужей, детки до родителей своих; полно вое-



ვათ, полно. И нам тоже не хорошо жить на свете, все дорого страшно, куда не кинься. У нас, Ваня, стало не дай бог страшно дорого стало как мясо 40 коп. фунт, сало 70 коп., хлеб 40 коп. Все цены возвышаются, дороже, все дороже, не дай бог дорого, война доведет, что будем голые и босые ходить: вот что такое. Страшно и тонка дорога, дрова и солома дороже. 1714.

Из действующей армии подпись: „Брат твой Давид“.— Англия. Глазгов, 174 Натану. 12 Января 1917 года „ Словом плохо и плохо. Скорее бы конец мучениям и страданиям. Боев в настоящее время нет, и у нас сильно поговаривают о мире. Предполагают, что таковой скоро настанет, и жизнь наша осветится наконец. Могу сообщить, что живется очень плохо. Ожидаются большие перемены в государстве в отношении нас евреев, как то: отмена черты оседлости, увеличение % на поступление в высшие учебные заведения и пр.“. (Вычеркнуто). 1744

10 рота 15 Туркестанского стрелкового полка. Подпись „Андрей“.—Франция, 4 Особая Русская бригада. Восточная армия, № 507, маршевой батальон, 5 рота, 3 взвод Антону Григорьевичу Обухову. 1916 года, Декабря 29 дня. Поскорее был бы мир Все измучились В окопах сидишь и не вылазишь, и не слышно и не видно белого света, один лишь мороз Вель это мука не человеческая, когда только она кончится“ (Вычеркнуто). 1745.

Могилев. Ник. Ал. Корнев.—Тыл. § 19 Елизаветполь, лесному ревизору Ив. Иосиф. Гаралевичу. 7-го января 1917 года. „В недобрый час я заговорил о Трепове, а ведь положение его началось более или менее прочным, фамилия одна чего стоит, настоящего Сусанинского. О назначении Беляева военным министром у нас в Могилеве было известно еще 1-го янв. Передают, что всякий, получающий назначение на пост министра, одновременно со вступлением в должность подает прошение об отставке. Если это так, то, как весьма остроумная выдумка XX в., это несомненно получит всеобщее распространение“. (Вычеркнуто). 1749.

